საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-ორშაბათი, 19-21 სექტემბერი. 2020 წ. №116 (9042) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

საბჭოთაგლოს დასვა – ეკიჩვეულეს ყოვლისა!

კელი დეგნანი: ერთიანი წვრთნები შეკავების მკაფიო სიგნალს უგზავნის ნებისმიერ აგრესორს!



2

სალომე ზურაბიშვილი: ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალები კიდევ უფრო გვაახლოებს ალიანსის წევრობასთან!

ოპოზიციის ამაო ჭიანჭველები

3

მგლებიც მაძღრები არიან და ცხვრებიც კარგად გრძნობენ თავს

ვინ და რა მიზნით შექმნა აფხაზეთში „ბერების“ გასამხედროებული დასახლებები?!

4

ყოველ-დღიურობაზე ამაღლებული

თვალსაჩინო მეცნიერი ჯუმბერ ლომინაძე – 90

5

„ჭიამოტივის“ სადიდებელი

10

„მიშასა ჰკრეს პანღური, ვაშაძეს კი – ნიახური“

ვინ სურთ ოპოზიციის პრემიერობის კანდიდატად? Edison Research-ის მიერ გამოკითხული **მოსახლეობის 57% არჩევანი ასე გადანაწილდა – დავით ბაძრაძე 25%, მიხეილ სააკაშვილი 15%; გიორგი ვაშაძე 19%; გრიგოლ ვაშაძე – 18%;**. კითხვა იმ ამომრჩევლებს დაუსვეს, რომელთაც პარლამენტის მმართველის როლში არა „ქართული ოცნების“, არამედ სხვა პარტიების ხილვა სურთ.

15%-ის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი, როგორც საქართველოს მთავრობის შემდეგი ხელმძღვანელი, მიმართავს მევენახეებს, რომ შეინახონ სერტიფიკატები, რომელსაც ხელისუფლება მისცემს და ოქტომბრის ბოლოს დამატებით კიდევ 80 თეთრს პირდება. მიხეილ სააკაშვილის დაპირებები, რომ ყინულზეა გაწერილი, ეს არახალია. ვიცესპიკერის **გია ვოლსკის** შეფასებით, მსგავსი არაადეკვატური ადამიანის განცხადებების შეფასება რთულია.

„მიხეილ სააკაშვილი ხან პოლიტიკოსის რანგში გვევლინება, **ხან მსოფლიო განმკარგულებლის, ხან უკრაინის ლიდერის, ხან საქართველოს პრეზიდენტის თუ მთავრობის თავმჯდომარის. ხან ღრუბელ-ღრუბელ მოდის, ხან ხმელეთით. არ მგონია, მის განცხადებებს ადეკვატური პასუხი გაეცეს, რასაც ის ჰაერში პერიოდულად ისვრის“,** – განაცხადა გია ვოლსკიმ.

როდესაც პოლიტიკური პარტია საარჩევნო დაპირებას ფეიკ-დაპირებაზე აგებს, უკვე გასაგებია, რომ წაგებისთვის არის განწირული.

ასე რომ, პარტიები 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ემზადებიან და საარჩევნო დაპირებებს უხვად გასცემენ. საკმაოდ საინტერესოა საარჩევნო სლოგანებიც, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის:

„ერთად საქართველოს წარმატებისთვის“, – „ძართული ოცნება“;

„დაავალე მიშას“ – „ნაციონალური მოძრაობა“;

„შენი კომპასი გარდამტეხი ცვლილებებისთვის!“ – „ევროპული საქართველო“;

„გისმენთ ალეკო – 593 58-40-52“, – „ალეკო ელისაშვილი – მოძალაძეები“;

„როგორც ღვინოს თავსახური, ხალხს სჭირდება სამსახური“, – „სტრატეგია აღმაშენებელი“ – გიორგი ვაშაძე;

„ვიმარჯვებთ ჩვენ, იმარჯვებ შენ – იმარჯვებ შენ, იმარჯვებს საქართველო“, – „პატრიოტთა ალიანსი“;

„ახალი ძალა, ახალი იმედი“, – პოლიტიკური გაერთიანება „ლელო“;

„მოგვეცით ნორმალური არჩევნები!“, – „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი საქართველო“.

იხ. 8-9 გვ.

„ღირსეული პარტნიორი 2020“ გუშინ დაიხურა

მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2020“ ვაზიანის მე-11 პოლიგონზე საჩვენებელი სწავლებით გუშინ დაიხურა.

ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ოფიციალურმა პირებმა საქართველოს, აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და პოლონეთის სამხედრო მოსამსახურეებს წვრთნების წარმატებით ჩატარებისთვის მადლობა გადაუხადეს და პარტნიორობის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება.

უცხოელ სამხედროებს კი სწავლებაში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის თავდაცვის სამინისტროს ახალი უწყებრივი მედალი „ღირსეული პარტნიორი“ გადაეცათ.

ღონისძიების ოფიციალურ ნაწილამდე, მრავალეროვნული ძალების მიერ ოპერაციის, სახელწოდებით „ოკასუსის ფარი“ საჩვენებელი სწავლება გაიმართა, რომელიც სამ კომპონენტს მოიცავდა – თავდაცვის ოპერაციები, გარღვევა და კონტრშეტევა. საჩვენებელი სწავლება მრავალეროვნული ქვედანაყოფის მიერ კონტრშეტევის ოპერაციით დასრულდა.

კელი დეგნანი: ერთობლივი წვრთნები შეკავების მკაფიო სიგნალს უგზავნის ნებისმიერ აგრესორს!

წვრთნა არ გულისხმობს მხოლოდ ჩვენი ძალების ურთიერთთავსებადობის განვითარებას, ის ასევე გულისხმობს მკაფიო გზავნილებს, რომელიც ეხება პანდემიის მიუხედავად სწავლების ორგანიზების უნარს და უგზავნის შეკავების მკაფიო სიგნალს ნებისმიერ აგრესორს, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა განაცხადა, რომელიც მრავალეროვნული სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2020“-ის დახურვის ცერემონიას დაესწრო. მისი თქმით, „ღირსეული პარტნიორი 2020“ აერთიანებს საქართველოს თავდაცვის ძალებს ნატო-ს მოკავშირეებთან.

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ვიმყოფები დახურვის ცერემონიაზე. ეს არის წვრთნა, რომელიც აერთიანებს საქართველოს თავდაცვის ძალებს ნატოს მოკავშირეებთან. აშშ მოხარულია, რომ მიმდინარე წელს შეუერთდა საქართველოს, პოლონეთს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს ორკვირიან ინტენსიურ სწავლებაში. ელჩის შეფასებით, ერთობლივი წვრთნები ძალიან წარმატებული იყო.

„ჩვენ შევძელით ამის გაკეთება, ძალების უსაფრთხოდ ჩამოყვანა პანდემიის მიუხედავად. საქართველოს მთავრობამ და მოკავშირე ძალებმა უსაფრთხოების აუცილებელ ზომებს მიმართეს სამხედროების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს აქ ვიმყოფები“, – განაცხადა კელი დეგნანმა.

სალომე ზურაბიშვილი: ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალები კიდევ უფრო გვაახლოვებს ალიანსის წევრობასთან!

ჩვენი მიზანი თანამედროვე, ბრძოლისუნარიანი და ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებაა, რომელიც ეროვნული თავდაცვითი ამოცანების შესრულების გარდა შეიტანს წვლილს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში. - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა მრავალეროვნული სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2020“ დასრულების ოფიციალურ ცერემონიაზე განაცხადა.

„მინდა, მოგილოცოთ მრავალეროვნული სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2020“ წარმატებით დასრულება და მადლობა მოვახსენო სწავლებაში მონაწილე ყველა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყანას. ჩვენი მიზანი თანამედროვე, ბრძოლისუნარიანი და ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებაა, რომელიც ეროვნული თავდაცვითი ამოცანების შესრულების გარდა შეიტანს წვლილს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში. გლობალური პანდემიის მიუხედავად, მრავალეროვნული სწავლების საქართველოში ჩატარება უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვით მუდმივად მზარდი თანამშრომლობის ნათელი მაგალითია. საქართველო პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით უფრო ძლიერი და დაცულია. თანამშრომლობა არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც დღეს. ნატო საქართველოს სანდო და ერთგული პარტნიორია. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ალიანსი და მისი წევრი ქვეყნები აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ძალისხმევას დემოკრატიულ და სტაბილურ ქვეყნად ჩამოყალიბებაში. საქართველო კი ნატოს სამაგალითო პარტნიორია, რომელიც სრულად იზიარებს ნატოს ღირებულებებსა და საერთო უსაფრთხოების პრინციპებს“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, სწორედ ამ თანამშრომლობის ნათელი სიმბოლოა, რომ საქართველო, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორი ქვეყანა, გაგრძელებს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობას.

ლავროვი თბილისთან ისტორიულ მეგობრობაზე ალაპარაკდა...

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი დარწმუნებულია, რომ საქართველოსთან ურთიერთობები აღდგება და დალაგდება. ამის შესახებ ლავროვმა განაცხადა ტელეკომპანია RTVI-ს ეთერში, თინა კანდელაკთან ინტერვიუში.

„ჩვენ ვხედავთ გამოჩენას ქართველი პოლიტიკოსების, რომლებიც ამას მხარს უჭერენ. ჯერჯერობით ეს მცირე პარტიებია მმართველ ელიტებში. დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ იზეიმებს ჩვენი ტრადიციული ისტორიული ახლობლობა, ჩვენი ხალხების ურთიერთმიზიდულობა“, – თქვა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ შერცხვენილი იქნებიან პროვოკატორები, რომლებიც ცდილობენ საქართველოს არ მისცენ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების რელსებზე დაბრუნების შესაძლებლობა.

ლავროვი ამბობს, რომ გასულ წელს რუსეთს და საქართველოს უვიზო რეჟიმამდე რამდენიმე ნაბიჯი აშორებდათ, მაგრამ შემდეგ მოხდა სკანდალი თბილისში რუსეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის გარშემო.

ლავროვის განცხადებით, რუსეთს არ აქვს არანაირი მიზეზი, რომ დღევანდელი სიტუაცია შენარჩუნდეს. მისივე თქმით, რუსეთს ქართველი ხალხის წინააღმდეგ არასდროს არაფერი განუზრახავს.

2008 წლის მოვლენებზე საუბრისას, ლავროვი აცხადებს, რომ ყველას კარგად ახსოვს, როგორც წვრთნიდნენ ამერიკელი ინსტრუქტორები ქართულ არმიას: **„ამერიკელებმა შესანიშნავად იცოდნენ მიხეილ სააკაშვილის თავშეუკავებლობა, რომელმაც ყველა შეთანხმება ფეხქვეშ გათელა და დანაშაულებრივი ბრძანება გასცა“.**

საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის შემდეგ გაწყვიტა. რუსეთს აღიარებული აქვს საქართველოს ორი რეგიონის – ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ და იქ სამხედრო ბაზები აქვს გახსნილი.

გერმანია საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში 37 დამკვირვებელს გამოგზავნის

ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა, ჰუბერტ ქნირშმა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, პირველი დამკვირვებლები რამდენიმე დღეში ჩამოვლენ და დანარჩენი ნაწილი კი – ოქტომბრის ბოლოს.

„ვიმედოვნებ, გვეყოლება ODIHR-ის სრული სადამკვირვებლო მისია, სამასზე მეტი დამკვირვებლით იმისათვის, რომ ამ არჩევნებს სათანადოდ დავაკვირდეთ“, – აცხადებს ელჩი.

ადამიანებისა და ოფისების დარბევა ჩვენი ხელწერა არ არის



„ქართულ ოცნებას“ ხაბეიშვილის ოფისის დარბევა ხასიათში არ აქვს. ადამიანებისა და ოფისების დარბევა ჩვენი ხელწერა არ არის, ეს მათი ხელწერაა, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, გიორგი ვოლსკიმ განაცხადა.

მისივე თქმით, მმართველი გუნდი საზოგადოებას სიკეთისა და სტაბილურობისკენ მოუწოდებს. **„როცა ჩვენ საზოგადოებას მოვუწოდებთ სიკეთისა და სტაბილურობისკენ, წარმოიდგინეთ, რომელი იდიოტი ხელისუფლება ჩაიდენს იმას, რომ ხაბეიშვილის ან მისი მსგავსი პოლიტიკოსის ოფისი დაარბიოს“.**

გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობის“ მაჟორიტარობის დეპუტატის, ლევან ხაბეიშვილის ოფისი დაარბიეს.

ოპოზიციის ამაო ჭითვები

მგლებიც მაძღრები არიან და ცხვრებიც კარგად გრძნობენ თავს

როდესაც წინასაარჩევნოდ სხვადასხვა კვლევების შედეგებს ვკითხულობ, სულ ერთი რუსული გამოთქმა მახსენდება მგლებიც მაძღრები არიან და ცხვრებიც კარგად გრძნობენ თავს (и волки сыты, и овцы целы).

დიახ, სწორედაც ასეა, რადგანაც შედეგებით ყველა კმაყოფილია. მკვლევარიც, რადგანაც საკმაოდ ნორმალური ფული იშოვა, ის პოლიტიკური ძალებიც, ვისაც იკვლევენ, რადგანაც ან „ბლატაობის“ – ნახეთ რა მაგრები ვართ, რამხელა რეიტინგი გვაქვსო, ან კრიტიკის და მედიაში კიდევ ერთხელ გამოჩენის საშუალება ეძლევათ,.

ხალხს კი ეს უაზრო ფათიფუთი სულ ცალ ფეხზე ჰკიდია.

კვლევების გაყალბება რომ არახალია, ეს, მგონი, უკვე ნებისმიერმა პირველკლასელმაც კი იცის.

უბრალოდ საგულისყუროა, თუ სად გადის იმ სისულელეების ბოლო ზღვარი, რასაც ე.წ. „მკვლევარები“ გვთავაზობენ.

NDI-სა და IRI-ს „ედისონ რიჩერსის“ სახით აშკარა კონკურენტი გამოუჩნდათ, რომლებმაც გლდანში ნიკა მელიას პირველივე ტურში უპირობო გამარჯვება ისე დაანონსეს, რომ თვით დავით ბაქრაძემაც მხრები გაკვირვებით აიჩეჩა.

არ ჩამოვთვლი იმ ტყუილებს, რასაც ისინი გვთავაზობენ, უბრალოდ, ერთი რამ მაინტერესებს – ვის სჭირდება მსგავსი დროის კარგვა და ლაყაფი?

ვის? რადგანაც „ედისონ რიჩერსის“ კვლევას კი არა, ხალხი თომას ალვა ედისონსაც არ დაუჯერებს, რადგან ვინ ვინ არის, ყველამ კარგად იცის, ხოლო იმ პოლიტიკურმა ძალებმა, ვის რეიტინგებსაც ადგენენ, თავიანთი შესაძლებლობები სხვაზე უკეთ იციან.

როდესაც სოციოლოგიური კვლევის კომპანია დასვამს კითხვას „სწორი მიმართულებით ვითარდება ქვეყანა, თუ არასწორით?“, აქ არის ყველაფერი დამთავრებული.

მათ არ იციან კვლევები, ან მოსყიდულები არიან ან შტერებთან გვაქვს საქმე.

გაუგებარია თუ რას ნიშნავს სწორი მიმართულება?

ეს გეოპოლიტიკური ორიენტაციაა?

იქნებ ეკონომიკაა?

იქნებ სხვა რამეა?

იქნებ რაღაც ნაწილია ამ კითხვების?

ასეთი კითხვა ჰგავს კახი კავსაძის ცნობილ კითხვას, „გვეშველება რამე?“

როცა სიღრმეებში გარკვევა კითხვის დამსმელს არ სურს, არ ძალუძს, ეზარება ან არ იცის, რას კითხულობს, ყველაფერი ცხადი ხდება.

არის შედარებით პატიოსანი კვლევითი ორგანიზაციებიც, რომლებიც შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობენ რეალური სურათი დადონ, რაც მეტ-ნაკლებად გამოსდით კიდეც.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ გამოქვეყნდა ორგანიზაცია „გორბის“ კვლევა – არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას.

ციფრები საკმაოდ რეალურია, მაგრამ ერთი ფრიად ყურადსაღები ნიუანსია აუცილებლად გასათვალისწინებელი, რასაც, სამწუხაროდ, ეს ორგანიზაციები არ აქცევენ ყურადღებას და უხეშად რომ ვთქვა, რობოტის მსგავსად მიცემული პროგრამით აწარმოებენ საველე სამუშაოს. არ ითვალისწინებენ იმას, რომ ის მეთოდიკა, რაც რომელიმე ევროპულ ქვეყანაში რეალურ სურათს გაჩვენებს, საქართველოსთვის არ იმუშავებს.

ის, რომ „ოცნების“ რეიტინგი 56%-ზე მაღალია, ნამდვილად არ არის გასაკვირი იმ საქმეების ფონზე, რასაც მთავრობა და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილი აკეთებენ (არ ჩამოვთვლი, რადგანაც არა მხოლოდ ისინი, ვისაც „თვალები“ აქვს, კარგად ხედავენ).

ნაცების 11%-იც გარკვეულწილად რეალურია, რადგანაც მათს სექტანტურ წყაროზე ძალიან მოქმედებს ის მარაზმატული საინფორმაციო კამპანია, რასაც მათი მედიასაშუალებები აწარმოებენ და, ბუნებრივია, მათი გარკვეული რაოდენობა, თუნდაც ვოლტერის ფრაზის გათვალისწინებით – ნებისმიერ უაზრო იდეას, აუცილებლად ჰყავს თანამოაზრეები, აუცილებლად იარსებებს.

რაც შეეხება იმ ხალხს, ვისაც უტარებენ გამოკითხვას: აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხვის ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენლების უმრავლესობა დღევანდელი მოცემულობის ლიბერალები არიან **(ხელისუფლებისა და ნაცსექტის მომხრეთა გარდა, რადგანაც მათ მკაფიო არჩევანი უკვე აქვთ გაკეთებული) და მსგავს „დასავლურ“ ღონისძიებებში მონაწილეობა ძალიან მოსწონთ. კონსერვატიული განწყობის ხალხი კი მსგავსი ტიპის აქტივობებს ძირითადად თავს არიდებს.**

სწორედ ეს არის „პატრიოტების“ დაბალი შედეგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

გორბის კვლევაში „პატრიოტთა ალიანსის“ 7.5% ურიგო მაჩვენებელი არ არის (Survation-ს სოციოლოგიური კვლევის მიხედვით „პატრიოტთა ალიანსს“ 3.9% ჰქონდა მაშინ, როცა „გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი“ – 6.0%, „ევროპული საქართველო“ – 5.6%, „ლეიბორისტული პარტია“ – 4.5%, „ლელო“ – 3.7%, „გირჩი“ – 2.2%, „ერთიანი საქართველო“ – 1.0%, „თავისუფალი დემოკრატები“ – 0.5%, სხვა – 0.7%).

დღევანდელი მოცემულობა – „ქართული ოცნების“ რეიტინგის მატება და ნაცების მაჩვენებლის ვარდნა ზუსტად გვაჩვენებს ამ ციფრების სიზუსტეს, რადგანაც იმ ადამიანების განწყობა, რომლებიც კვლევაში არ მონაწილეობენ, ზუსტად ემთხვევა კვლევაზე უარის მთქმელთა განწყობას, რასაც ვერ ვიტყვით სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ კეთილად განწყობილ ამომრჩეველზე.

ცნობისთვის ვიტყვი, რომ კომპანია Survation საკმაოდ სოლიდური კომპანიაა და მისი კვლევების შედეგები, სხვა კომპანიებისგან განსხვავებით, ყველაზე ახლოსაა რეალობასთან.

და მაინც მოხდა ერთი საოცრება – როგორ მოხვდნენ ლეიბორისტები ამ კვლევაში, რადგანაც რეალობაში მათი ლიდერის დაბოღმილი, სულელური და როყიო წამოძახილების გარდა, მაჯა არ ესინჯებათ.

კვლევების გაყალბებასთან ერთად საკმაოდ სერიოზული ტყუილები ვრცელდება ვითომდა დასავლური ტიპის პარტიებისგან. მაგალითისთვის გეტყვით „ლელოს“ მორიგ ფეიკს:

ინფორმაცია, რომელსაც „ლელოს“ პრესსამსახური ავრცელებს გიგლა მიქაუტაძეზე დაყრდნობით, თითქოსდა გაეროს კვლევის მიხედვით, საქართველოში შიმშილის დონე გაორმაგებულია, არის ტყუილი და ციფრების მანიპულაცია, რაც ერთი ერთში იმეორებს „ნაციონალური მოძრაობის“ სიცრუის და ფეიკ პოლიტიკის ნარატივს ქვეყანაში სიღარიბის ზრდაზე.

რეალობა კი აბსოლიტურად სხვაა და ეს გლობალური საკვების პროგრამა (World Food Programme), WFP ის 2020 წლის კვლევაშიც ჩანს, რომლის მიხედვითაც 2012 წელთან შედარებით არასრულფასოვანი კვების დონე არა თუ გაზრდილია, პირიქით, 3 ჯერ არის შემცირებული.

WFP-ის „შიმშილის რუკა 2020“ ასახავს თითოეული ქვეყნის მოსახლეობაში არასაკმარისი კვების გავრცელებას 2017-2019 წლებში. „შიმშილის რუკა“ ასახავს ინფორმაციას, გლობალური ჯანმრთელობის ყველაზე დიდ რისკზე და ამ რისკის ცვლილების დინამიკას წლების მიხედვით, რაც იძლევა წლების მიხედვით განვლილ დროსთან შედარებითი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობასაც, თუ როგორია ქვეყანაში ჯანმრთელობის რისკის ცვლილების დინამიკა.

WFP-ის „2020 შიმშილობის რუკის“ მიხედვით საქართველო, სლოვაკეთი და კვიპროსი ე.წ. ყვითელ ზონაში მოხვდნენ. ანუ იმ ზონაში, სადაც მოსახლეობის 5-15% არასრულფასოვნად იკვებება.

მართალია, საქართველოსათვის ეს მაჩვენებელი 8.2%-ია, მაგრამ რადგან ბატონი მიქაუტაძე ამას ბოლო რვა წელს ანუ „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს უკავშირებს, შედარებისთვის, 2012 წლის „შიმშილობის რუკის“ მიხედვით საქართველო ე.წ. ყავისფერ ზონაში იყო, ანუ იმ ქვეყნებს შორის, სადაც მოსახლეობის 15-25% იკვებება არასრულფასოვნად, საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი 24.7%-ი იყო, რაც 3-ჯერ მეტია დღევანდელ მაჩვენებელზე, უფრო ცხადი რომ გახდეს, ამ მაჩვენებელით საქართველო მაშინ ევროპაში ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც „ყავისფერ ზონაში“ მოხვდა!, ხოლო მთლიანად ევრაზიის კონტინენტზე კი უკანასკნელ ათეულში, ბოლოდან მეექვსე პოზიცია ეჭირა იემენის, ჩრდილოეთ კორეის, ტაჯიკეთის, ლაოსის სახალხო რესპუბლიკის და ერაყის შემდეგ!.

ამასთან, 2012 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში იმ ადამიანების რიცხვი, ვინც არასრულფასოვნად იკვებებოდა, არც მეტი და არც ნაკლები, 1 მილიონი ადამიანი იყო! შედარებისათვის, დღეისათვის ანუ 2020 წლის მიხედვით, ეს ციფრი – 300 000 მოსახლეს უტოლდება. შესაბამისად, 3-ჯერ, ანუ 700 000 ადამიანით არის შემცირებული!.

სწორედ ამ ტყუილების და ფეიკ პოლიტიკის ადექვატურია მთლიანად ოპოზიციის და თავად „ლელოს“ რეიტინგიც, რაც დაჯამებულადაც კი ორჯერ ჩამორჩება „ოცნების“ რეიტინგის მაჩვენებელს, ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა, მათ შორის Gorbi-ის კვლევის მიხედვით

პროგრესი კი, რაც ქვეყანამ თუნდაც ბოლო წლებში განიცადა, თვალსაჩინოა და თუ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პროგრამების გაზრდილ დაფინანსებას მივიღებთ მხედველობაში, მათ შორის ანტიკრიზისული და პოსტპანდემიური პერიოდების სოციალური ხარჯების ზრდის თვალსაზრისით, გვაქვს კარგი შანსი უკვე მომავალ კვლევაში, შიმშილობის შედარებით დაბალ 5 %-ზე ნაკლებ „მწვანე ზონაშიც“ კი გადავიდეთ.

ამ კვლევებისა და ნაცმედიის ისტერიულ ფონზე საკმაოდ საყურადღებო ანგარიში გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა.

ანგარიში, რომელიც ბოლომდე ანიორწყლებს (იმერული გამოთქმაა) ზოგიერთი კონგრესმენის მიერ საქართველოს ხელისუფლების მისამართით გამოგზავნილ „კრიტიკულად მამხილებელ“ უსტარებს და ამ აბსურდებისგან ხბოს ებრ მოკუნტრუშე ე.წ. „ოპოზიციას“.

უამრავჯერ ითქვა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რას ფიქრობს ნაცების მავანი ლობისტი, რომელიც კონგრესმენად მუშაობს, არამედ ის, თუ როგორ ხედავს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში მიმდინარე პროცესებს:

– საქართველოს ბიზნესგარემო გახსნილი, გამჭვირვალე და მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის, მათ შორის ამერიკული ინვესტიციებისთვის;

– საინვესტიციო დავების ნაწილში, სახელმწიფოს მიერ არ განხორციელებულა არც ერთი არამართლზომიერი ქმედება უცხოელ ინვესტორთა წინააღმდეგ;

– საქართველო მოწინავეა მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივით და დადებითად არის დახასიათებული არსებული ბიზნესგარემო საქართველოში;

– სახელმწიფოს მიერ არ ხორციელდება საკუთრების ექსპროპრიაცია;

– იქვე ხაზგასმულია, რომ წინა მთავრობის დროს ხშირი იყო კერძო საკუთრების არაგამჭვირვალედ და იძულებით გადაცემის შემთხვევები;

– ხაზგასმულია საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ წარმატებით აღკვეთა კორუფცია საჯარო სექტორში.

საყურადღებოა თუ რა კომენტარებს გააკეთებენ რომანა გოცირიძე, სალომე სამადაშვილი, ბიუჯეტის ბაცაცა უგულავა და როგორ ჩახედავენ ერთმანეთს თვალებში ის კონგრესმენები და გიორგი კანდელაკი.

გია გაბრიჭიძე

5G ქსელი უსაფრთხო უნდა იყოს!

შეერთებული შტატები საქართველოსთან მობილური კავშირის მეხუთე თაობის ქსელთან დაკავშირებით ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებას აპირებს. ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, ფილიპ რიკერის მიერ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში წარდგენილ ა ნათქვამი.

„30-მა ქვეყანამ შეიტანა წვლილი ე.წ. „პრაღის წინადადებაში,“ რათა შეიქმნას უსაფრთხო 5G ქსელის ინფრასტრუქტურა და არ იყვნენ გამოყენებულნი მომწოდებლები ავტორიტარული ქვეყნებიდან.

ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება იგეგემება უკრაინასთან, საქართველოსთან და სერბეთთან, რათა ამ პარტნიორმა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება, თავი შეიკავონ აკრძალული ტექნოლოგიების გამოყენებისგან“, – ნათქვამია დოკუმენტში. ე.წ. „პრაღის წინადადება“ 2019 წლის მაისში წარადგინეს და მას 32 ქვეყანა შეუერთდა. ინიციატივის მიზანია, მეხუთე თაობის მობილური ინტერნეტ ქსელის მოწყობისას თავიდან იყოს აცილებული თანამშრომლობა ისეთ მომწოდებლებთან, რომლებიც კონკრეტული სახელმწიფოების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. კერძოდ კი, საუბარია ჩინურ კომპანიებზე.

ოკუპანტის „ქრისტიანული“ ოინები

ვინ და რა მიზნით შექმნა აფხაზეთში „ბერების“ გასამხედროებული დასახლებები?!

ყველა ეს „ბერი“ მართალია, აფხაზეთის მოქალაქეა, მაგრამ ფლობს დიპლომატიურ იმუნიტეტს, ანუ ხელშეუხებლობას. შესაბამისად, რომელიმე ამ „განდეგილმა“ რომ ადგილობრივთაგან ვინმეს ესროლოს ან დაასახიჩროს, აფხაზური სახელმწიფო ბრალსაც კი ვერ წაუყენებს!

აფხაზეთში ალბათ, ყველას შეუმჩნევია აქეთ-იქით მოარული „უაზები“, რომლებსაც ანაფორებში გამოწყობილი პირები მართავენ. საკმაოდ ხშირად (არცთუ იშვიათად — მანქანათმშენებლობის მსოფლიო ინდუსტრიის ბოლო მოდელების) „ჯიპების“ საჭესთან დაინახავთ ქალებს — ასევე ანაფორიანს, თავიდან ფეხებამდე შემოსილს შავ სამოსში. და თუ პირველ წლებში მსგავსი ტურისტები ყურადღებას იქცევდნენ და დიდ ინტერესს იწვევდნენ, დროთა განმავლობაში აფხაზეთში მათ ყოფნას ყველა შეეგუა. მაგრამ მათი რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა და სადღეისოდ ამ „ბერებსა“ და „მონაზვნებს“ რესპუბლიკის ყოველ კუთხე-კუნჭულში წააწყდებით. მაგრამ არა ცენტრალურ რაიონებში, არამედ სოფლების განაპირას, მჩქეფარე საკურორტო ცხოვრებისგან მოშორებულ ადგილებში.

არაოფიციალური მონაცემებით, სადღეისოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად 4 ათასამდე ამგვარი „ანაფორიანი ტურისტი“ სახლობს.

„და რა არის ამაში განსაკუთრებული?“ — იკითხავს მკითხველი. მართლაც, ცუდია, რომ ქრისტიანულ აფხაზეთში თავშესაფარი ჰპოვეს განდეგილებმა და მომლოცველებმა? და 7-8 წლის წინ რესპუბლიკაში მათი ყოფნა არც არავის აშფოთებდა: ომით დასახიჩრებული აფხაზეთისთვის ეს ადამიანები შეიძლებოდა, ქცეულიყვნენ შვებადაც კი, ან, თუ გნებავთ, დახმარებად განმანათლებლობის გზაზე. მაგრამ არის ერთი დიდი აცდენა, რომელიც, არსობრივად, ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს და რესპუბლიკის მოსახლეობის შეშფოთების მიზეზს ხსნის.

მართლმადიდებელ ეკლესიასთან ამ „ბერებს“ არანაირი კავშირი არა აქვთ. მათი უმრავლესობა რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედი ან ცოტა ხნის წინ პენსიაზე გასული თანამშრომლები არიან, რომლებიც აფხაზეთში არა დასვენებისთვის ან ეკოლოგიურად სუფთა ბუნების სასწაულებით ტკბობისთვის ჩავიდა. აქ თითოეული მათგანი ცხოვრობს, უფრო ზუსტად კი მუშაობს გარკვეულ სფეროში. შეისყიდეს რა მიწები, უმრავლეს შემთხვევაში — ათეულობით ჰექტარი, მათ აფხაზეთში იმგვარი გასამხედროებული დასახლებები ააშენეს, რომელთა ტერიტორიაზეც უცხოებისთვის შესვლა კატეგორიულად იკრძალება. კერძო საკუთრებაა — ვერაფერს იტყვი. მაგრამ ეს საკუთრება გადაჭიმულია ათობით კილომეტრ აფხაზურ მიწაზე, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ჩათვლით.

არ გჯერათ? — სცადეთ, ჩახვიდეთ წებელდასა და მიმდებარე სოფლების მიდამოებში. რაღაც მომენტში გზას გადაგიღობავთ შეიარაღებული მცველი და მიზეზების ყოველგვარი განმარტების გარეშე აგიკრძალავთ გზის გაგრძელებას. და გინდ თვით რომის პაპთან იჩივლეთ, რითიც გნებავთ, დაემუქრეთ — გზას მაინც ვერ გაგრძელებთ. წინააღმდეგობას გაუწევთ? — მაშინვე გაჩნდება შეიარაღებული პატრული ძაღლებითურთ, რომელსაც შეუძლია, სადაც უნდა, იქ წაგიყვანოთ. მათ ფეხებზე ჰკიდიათ, რომ აფხაზეთის მოქალაქე ხართ და საკუთარ მიწაზე იმყოფებით. შემდგომში, რა თქმა უნდა, გამოგიშვებენ, მაგრამ ერთ-ორ ღამეს საკანში გაატარებთ.

ყველა ეს „ბერი“ მართალია, აფხაზეთის მოქალაქეა, მაგრამ ფლობს დიპლომატიურ იმუნიტეტს, ანუ ხელშეუხებლობას. შესაბამისად, რომელიმე ამ „განდეგილმა“ რომ ადგილობრივთაგან ვინმეს ესროლოს ან დაასახიჩროს, აფხაზური სახელმწიფო ბრალსაც კი ვერ წაუყენებს!

„აფხაზურ საზოგადოებაში ეს საკითხი ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ განიხილებოდა. იმის გარკვევასაც კი ვცდილობდით, ვინ იყვნენ ისინი და, რაც მთავარია, რატომ არიან დაბინავებულები ჩვენთან, თუმცა ვერაფერი დავადგინეთ. აფხაზეთში რუსეთის საელჩომ დუმილი ამჯობინა და თავი მოიკატუნა, თითქოს არაფერი ხდებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ კი პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალა“, — იხსენებს ჩვენი თანამოსაუბრე ვალერი.

მისივე თქმით, საუბარია კარგად გაწვრთნილ, „ზღვის კატების“ ტიპის „სპეცებზე“, რომლებიც აფხაზეთში ოჯახებითურთ ცხოვრობენ.

„ორიოდ წლის წინ მათთან სტუმრობა მოვახერხე და გაოგნებული ვიყავი იმით, როგორაა იქ ყველაფერი მოწყობილი. ეს, არსობრივად, არა ვილებია ბაღებითა და ბოსტნებით, არამედ სამხედრო მინიბაზები. იქ ყველა კუთხე-კუნჭულში დგას დანადგარები საბრძოლო უნარ-ჩვევების საწრთობად. და რამდენი სხვადასხვა სახის იარაღი აქვთ — ვერც კი წარმოიდგენთ!“, — იხსენებს ვალერი.

მან კიდევ ერთი მოულოდნელი დეტალი გაგვანდო. თითოეულ ასეთ ოჯახში საშუალოდ 10-12 ბავშვი იზრდება. უფროსების ცხოვრების ნირი კადეტურს უახლოვდება, პატარებს კი დროდადრო ეძლევათ შესაძლებლობა, გამოტოვონ წვრთნები, რომლებიც, სხვათა შორის, რუსული სპეცრაზმების სტანდარტებთანაა მიახლოებული.

„რამდენიმე ჰექტარი ფართობის ტერიტორია თითოეულ ოჯახს იმის გამო ესაჭიროება, რომ წვრთნები მოიცავს, მათ შორის, რბოლას 10-12-კილომეტრიან დისტანციაზე. წვრთნები ამტანობაზე, უბრალოდ, ფანტასტიკის ზღვარზეა და ვინც დასახულ ამოცანას სხვებზე უკეთ ართმევს თავს, აფხაზეთის ფარგლებს გარეთ გასვლებით ჯილდოვდება“, — ყვება ჩვენი თანამოსაუბრე.

ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ აქ ბავშვები თავის ვითომდა მშობლებს „დედებსა“ და „მამებს“ არ უწოდებენ — მხოლოდ სახელებითა და მამის სახელებით მიმართავენ.

ერთი შეხედვით, ეს თითქოსდა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა აღზარდო მომავალი თაობა. მაგრამ არ მასვენებს ერთი კითხვა.: რისთვის წვრთნიან აქ, აფხაზური სახელმწიფოს სიღრმეში ვიღაც რუსები მებრძოლებს? რა მიზნებისთვის სჭირდებათ მათ სუპერჯარისკაცების პატარა არმია?

„როდესაც სულ 5-10 ოჯახი იყო, ამაში საფრთხეს ვერ ვხედავდი. ცუდი რა არის იმაში, რომ ოჯახებმა დატოვეს რუსეთის დიდი ქალაქები და ჩვენს თვალწარმტაც მიწაზე გადაწყვიტეს ცხოვრება? მაგრამ ახლა უკვე საუბარია არა ათ ან თუნდაც ას ოჯახზე. მათი რაოდენობა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ მეც კი, მთელი ჩემი გულუბრყვილობით, მესმის, რომ საქმე ცუდადაა“, — გვიამბო გულრიფშის რაიონის მკვიდრმა ვაგარშაკმა.

მოხუცის თქმით, ისინი არ დადიან სტუმრად, მეზობლებმა მათი არც სახელები იციან, არც გვარები, არც ის, თუ საიდან ჩავიდნენ აფხაზეთში. როგორც ვაგარშაკი აზუსტებს, ეკლესიაში ისინი დადიან, იქ მათ ხშირად ხედავენ ადგილობრივები, თუმცა ბავშვები თან არ დაჰყავთ — არც დიდები, არც პატარები.

ქართულ-აფხაზური ომის დასრულების შემდეგ რესპუბლიკის მოსახლეობას ადარდებდა უსაფრთხოების საკითხი. როდესაც აფხაზეთში პირველად გაჩნდა რუსული სამხედრო ბაზა, ბევრმა შვებით ამოისუნთქა. ოდნავ მოგვიანებით, როდესაც ბაზების რაოდენობა ყველა გონივრულ ზღვარს გასცდა, მოსახლეობა შეშფოთდა. თუმცა მაშინვე განუმარტეს — „ესეა საჭირო, თქვენივე უსაფრთხოებისთვისო“. წლების შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო კონფლიქტები, რომლებიც რუსი სამხედროების მიერ ბაზების მიმდებარედ მიწების მიტაცებას უკავშირდებოდა. თუ გახსოვთ, აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ გრანდიოზული სკანდალი მოაწყო 2017 წელს, როცა გაირკვა, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ყოველგვარი ნებართვის გარეშე რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამართველოს სამხედროებმა წებელდაში, პოლიგონზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები გაანადგურეს.

„ამ ისტორიას დამამძიმებელი გარემოებები ახლავს“, — თვლის კულტურის მინისტრის მოადგილე ბატალ კობახია. — **„სამუშაოები წარმოებდა სადღესასწაულო დღეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ადამიანები აცნობიერებდნენ, რას აკეთებდნენ. შეუძლებელია, მათ არ სცოდნოდათ, რომ ანგრევდნენ რუინირებულ ობიექტს: ფუნდამენტიც, რომელიც მის ზემოთ დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზეა, ასევე კედლების ნარჩენები და ღობე საკმაოდ კარგად ჩანს და არაა დაფარული მცენარეულობით. რაც შეეხება სასაფლაოს, იგი მემორიალურ ობიექტს წარმოადგენს და მისი განადგურება მხოლოდ სპეციალური ნებართვის ფლობის შემთხვევაშია შესაძლებელი“.**

მეტიც, ბატალ კობახიამ გვამცნო, რომ სოფლის მომიჯნავე ტერიტორიაზე დიდი ხანია, ტარდება სამხედრო წვრთნები, რომლებიც მოსახლეობას უამრავ პრობლემასა და საფრთხეს უქმნის. **„იქ ხშირად იღუპება პირუტყვი, სროლისგან სახლების კედლები იბზარება. ადგილობრივებს არაერთხელ მიუმართავთ რაიონის ხელმძღვანელისთვის, მთავრობისთვის, სამხედროებისთვის, თუმცა რეაქცია ნულოვანი იყო“.**

„არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება საერთოდ ჩაეყენებინოთ საქმის კურსში ამ საქმეების შესახებ, მაგრამ საბრძოლო მომზადებაგავლილი ადამიანების მსგავსი ფსევდობერების რაოდენობის მატება მათ შეუმჩნეველი უბრალოდ ვერ დარჩებოდათ. ასეა თუ ისე, ისინი ვალდებულები იყვნენ, ეს საკითხი რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან დაეყენებინათ“, — თვლის ჩვენი რესპონდენტი გიორგი.

მისივე აზრით, უმოქმედობამ შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. **„ხომ ნათელია, რომ მათ ამზადებენ არაორდინარული სიტუაციის შემთხვევებისთვის, როცა სამხედროები ოფიციალურად ვერ ჩაერევიან, მაგალითად, აფხაზების შიდა კონფლიქტში. სწორედ ასეთი მიზნებისთვისაა გამოსადეგი მსგავსი ფორმირებები. ისინი პროვოკაციის მოწყობასაც შეძლებენ და რაღაც ლოკალური კონფლიქტის ჩახშობასაც. დავიჯერო, ამას ვერავინ ხვდება?“,** — შეშფოთებულია გიორგი.

რა ხდება ამ დასახლებების მაღალი გალავნების მიღმა, არავინ უწყის, ისევე, როგორც ის, თუ ვინ სახავს ამოცანებს და ასპონსორებს მთელ ამ არცთუ იაფ ცხოვრებას. ასეა თუ ისე, უმაღლესი სამხედრო გოლის რუსი ჩინოსნების მონაწილეობის გარეშე აქ ვერაფერი მოხდებოდა. ეჭვი მეპარება, გულის გადაშლისა და მეგობრული ხელის გაწოდებისას აფხაზეთი ელოდა, მეგობრისა და სტრატეგიული პარტნიორის მიერ მზაკვრულად დაგებულ ხაფანგში მოხვედრილიყო. გამოდის, რომ რუსეთი აფხაზეთსა და მის მაცხოვრებლებს იმთავითვე საკუთარი პოლიტიკური თამაშების მსხვერპლად განიხილავდა და არა სრულფასოვან პარტნიორად.

ახლა კი დაამატეთ ყველაფერ ამას არქეოლოგიური სიმდიდრეების დატაცება „შავი მთხრელების“ მიერ, იარაღის უკონტროლო ბრუნვა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ბავშვების შეყვანა-გაყვანა — და მიიღებთ ერთ დიდ კითხვის ნიშანს. პასუხები არსებობს და ისინი იციან არა მარტო მოსკოვში, არამედ აფხაზურ-რუსულ საზღვარზეც, რომლის გავლითაც ფსევდობერებს რესპუბლიკაში იარაღიც შეაქვთ, ბავშვებიც შეჰყავთ. რაკი ყველა ეს საქმე ამ დრომდე საიდუმლოებითაა მოცული, ესე იგი, ეს ვიღაცას ძალიან სჭირდება და არა მგონია, აფხაზეთსა და მის მოსახლეობას.

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲐᲕᲘᲫᲒᲐ

ყოველდღიურობაზე ამაღლებული

თვალსაჩინო მეცნიერი ჯუმბერ ლომინაძე – 90

2020 წლის 20 სექტემბერს 90 წელი შეუსრულდებოდა ღირსეულ მამულიშვილს, მრავალი მიზნის მქონე ადამიანს, შესანიშნავ მეცნიერ-ფიზიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს **ჯუმბერ ლომინაძეს**.

მრავალპლასტიანი იყო ჯუმბერ ლომინაძის ბუნება, ნიჭი და უნარი. იგი იყო მშვიდი, თანმიმდევრული და ყოველდღიურობაზე ამაღლებული; კაცთმოყვარე და ადამიანების ღირსებებით აღტაცების ნიჭით მადლცხებული; მშვენიერებასთან წილნაყარი ფაქიზი სულის ადამიანი. მას ახასიათებდა დაუშრეტელი ლტოლვა ბუნების საიდუმლოებათა გააზრებისა და ირგვლივ მყოფთა შემოქმედებითი დამუხტვისა. ამ თვისებათა შერწყმამ განაპირობა ჯუმბერ ლომინაძის შემოქმედებისა და ცხოვრების მრავალფეროვნება, ის მნიშვნელოვანი როლი, რასაც ის ასრულებდა ჩვენს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბატონი ჯუმბერი სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე (1950-55 წ.წ.), სადაც სპეციალიზდებოდა პლაზმის ფიზიკის დარგში. მეცნიერების ეს დარგი სწორედ მაშინ იწყებდა განვითარებას და განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა, რადგან ძირითად მიზნად ისახავდა თერმობირთვული იარაღის „გაკეთილშობილებას“ – ისეთი რეაქტორის აგებას, რომლის საშუალებითაც მოხერხდებოდა თერმობირთვული რეაქციების მართვა და, შედეგად, კაცობრიობისთვის ფაქტიურად ულევი, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროს შექმნა. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ჯუმბერ ლომინაძე სამუშაოდ გაანაწილეს ურალის ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც უშუალოდ მონაწილეობდა ისტორიის იმ ეტაპზე ცხოველმყოფელ თერმობირთვული იარაღის სრულყოფის პროგრამაში. 1958 წელს დაბრუნდა საქართველოში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად შეუდგა პლაზმის ფიზიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ჯუმბერ ლომინაძის საქმიანობის მოტივაციის ძირითადი ნაწილი მეცნიერებაში თვითგამოხატვით – ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობით, ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდით, მეცნიერული სკოლის შექმნით – იყო განპირობებული. ამიტომაც ჯუმბერ ლომინაძის საქმიანობის შედეგები ფუნდამენტალური და მრავალფეროვანი იყო. მისი ხელმძღვანელობით, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან ფართო თანამშრომლობის პირობებში, ჩამოყალიბდა თეორიული ასტროფიზიკის სამეცნიერო სკოლა, სადაც მიმდინარეობს როგორც ფუნდამენტური კვლევები უწყვეტ გარემოში შეშფოთებათა დინამიკისა, ასევე კვლევები კოსმოლოგიაში და სხვადასხვა ტიპის ასტროფიზიკურ ობიექტებში მიმდინარე მოვლენების შესასწავლად. ამ მიმართულებით კვლევის ობიექტების სპექტრი მოიცავს მზეს, დედამიწის ატმოსფეროსა და მაგნიტოსფეროს, აქტიური გალაქტიკის ბირთვებს, შავი ხვრელების აკრეციულ დისკოებს, პულსარების მაგნიტოსფეროს, ბინარული გადაგვარებული ვარსკვლავებისა და ზეახალი ვარსკვლავების ნარჩენების დინამიკურ თავისებურებებს.

პლაზმაში მიმდინარე ელექტრომაგნიტური მოვლენების მრავალი წლის განიადაგებული კვლევების შედეგად ჯუმბერ ლომინაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პლაზმის ფიზიკის ერთ-ერთი განხრის, ელექტრონული ციკლოტრონული ტურბულენტობის თეორიის შექმნაში. მოვლენები, რომლებიც ნაწინასწარმეტყველები იყო ჯუმბერ ლომინაძის თეორიულ შრომებში, შემდგომში უცხოელ მეცნიერთა მიერ ექსპერიმენტულად იქნა აღმოჩენილი. მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებამ დააინტერესა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამომცემლობა „პერგამონ პრესი“. მან 1981 წელს გამოსცა ჯუმბერ ლომინაძის მონოგრაფია „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“, რომელიც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნი გახდა.

ჯუმბერ ლომინაძის ასტროფიზიკური კვლევების არეალმა ასევე მოიცვა სამყაროს ყველაზე ეგზოტიკური ობიექტების – შავი ხვრელების – ირგვლივ არსებულ ე.წ. აკრეციულ დისკოებში მიმდინარე ფიზიკური პროცესები. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა თეორიული მოდელი ამ დისკოების რენტგენული გამოსხივების თავისებურებების ასახსნელად. ამ ტიპის დინამიკური მოვლენების კვლევისათვის არაადეკვატური აღმოჩნდა კლასიკური მათემატიკური მეთოდი. საჭირო გახდა ოპტიმალური მათემატიკური ფორმალიზმის შემუშავება და გამოყენება. ეს საკითხები მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ გააზრებულ იქნა მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო დეკადაში. მნიშვნელოვანია ჯუმბერ ლომინაძის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლის წვლილი ამ საკითხების გააზრებაში და არაერთგვაროვან ასტროფიზიკურ და ატმოსფერულ დინებებში მიმდინარე წრფივი და არაწრფივი დინამიკური მოვლენების კვლევაში. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევისათვის მკვლევართა ჯგუფს ჯუმბერ ლომინაძის ხელმძღვანელობით 2002 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში.

მეცნიერული კვლევების ეს ფართო არეალი, მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან და ჯუმბერ ლომინაძის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლისთვის დამახასიათებელი ფიზიკური აზროვნების მაღალი კულტურა, ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელ მკვლევრებად სწრაფი ჩამოყალიბების საწინდარია. დიდია შექმნილი სამეცნიერო სკოლის პოტენციალი. შედეგად, ფართოა და დროსთან ფეხაწყობით იზრდება ამ სკოლის წარმომადგენელთა მოღვაწეობის არეალი. ამ სკოლაგამოვლილი მეცნიერები მუშაობენ ამერიკაში, გერმანიაში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, პოლონეთში.

ჯუმბერ ლომინაძის მეცნიერული საქმიანობა არ შემოიფარგლა პლაზმური ასტროფიზიკის სკოლის შექმნით საქართველოში. იგი, როგორც აკადემიკოსმდივანი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას. მის თანადგომას და ზრუნვას ასევე გრძნობდნენ საქართველოს სხვა სამეცნიერო დაწესებულებების გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერები. იგი 40 წელზე მეტ ხანს კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ახალგაზრდებზე ზრუნვა ვრცელდებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთაც. ჯუმბერ ლომინაძეს ყოველწლიურად იწვევდნენ ექსპერტად რუსეთის ფედერალურ ბირთვულ ცენტრში „ჩელიაბინსკ-70“-ში კონფერენციებზე „მეცნიერება მშვიდობისათვის“, სადაც იგი მომავალი ფიზიკოსებისათვის კითხულობდა ლექციებს ტურბულენტობის თეორიაში, კოსმოლოგიაში და ასტროფიზიკაში. მას საზოგადოებრივ საქმიანობაში მეგზურობას უწევდა მისი კეთილმოსურნეობა და ინტელიგენტურობა, მომავლის თანდაყოლილი რწმენა. ბატონი ჯუმბერი სიკეთეს მიაგებდა ავისმოსურნესაც – ასეთი იყო მისი შინაგანი ბუნება, მისი პიროვნების არსი.

ჯუმბერ ლომინაძე იყო ფართო მიზნების მქონე ადამიანი. იგი გატაცებული იყო ლიტერატურით, მუსიკით, მხატვრობით. შექმნა უმდიდრესი ბიბლიოთაკა, ასევე გატაცებული იყო მხატვრული ფოტოგრაფიით. ეს გატაცება მისი ცხოვრების, მისი სიყვარულის მემატიანედაც იქცა, რამაც განაცვიფრა ქართველი საზოგადოება, როცა 2000 წლის ივნისში ცისფერ გალერეაში მისი მეუღლის, ქალბატონი ლიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა მოაწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჯუმბერ ლომინაძის მიერ ორმოცდაათი წლის განმავლობაში გადაღებული ფოტოები, ამსახველი მისი ცხოვრების გზისა და იმ მშვენიერი გრძნობისა, რაც ქალბატონ ლიასთან აკავშირებდა.

აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ, ჩინებულმა მეცნიერმა, შესანიშნავმა პედაგოგმა და ჰარმონიულმა პიროვნებამ დაუვიწყარი სახელი დატოვა კოლეგებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი მედიკამენტოზური ინტოქსიკაციაა!

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი უნდა იყოს მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია. ინფორმაცია გუშინ პროკურატურამ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით გაავრცელა.

პროკურორის განცხადებით, ბაჩალიაშვილის ცხედარს ინიექციის კვალი არ აღენიშნება.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თამარ ბაჩალიაშვილის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან უკვე მიღებულია ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური), ტრასოლოგიური დასკვნები. ამ დროისთვის ასევე ცნობილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გვამის სასამართლო სამედიცინო, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევის და საქმის მასალების შეჯამების შედეგად, თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი უნდა იყოს მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია, ასევე ექსპერტიზის ჩატარების მომენტისთვის, მისი გარდაცვალებიდან გასულია დაახლოებით ოთხი დღე. თამარ ბაჩალიაშვილის ცხედარს მექანიკური დაზიანების რაიმე ნიშნები, მათ შორის ინიექციის კვალი არ აღენიშნება.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევით, თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ბიოლოგიურ ობიექტებში აღმოჩენილი მედიკამენტების ორგანოებში განაწილების თანაფარდობა დამახასიათებელია ნივთიერების პერორალური (პირის ღრუს) გზით და არა საინიექციო გზით მიღების შემთხვევაში. პრეპარატების მოხვედრა თამარ ბაჩალიაშვილის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შესაძლებელი იყო მხოლოდ საყლაპავი გზით და არა ინიექციით.



თამარ ბაჩალიაშვილის ავტომანქანიდან ამოღებულ „ბაკურიანის“ ბოთლში დარჩენილ წყლის წვეთში აღმოჩნდა ადრენორეცეპტორების და ჰისტამინური რეცეპტორების მაბლოკირებელი საშუალების კვალი.

ტაბლეტის ფორმით არსებული მედიკამენტის შემადგენლობიდან გამომდინარე, მათი სითხეში, მათ შორის წყალში გახსნისას მიიღება სუსპენზია (სითხეში შეტივნარებული სხვადასხვა ზომის მყარი ნაწილაკები) ანუ, ასეთ შემთხვევაში სითხე იქნება შემღვრეული და არა გამჭვირვალე და უფერო, რაც გამორიცხავს ტაბლეტების გახსნას ბოთლში, რადგან ქიმიური ანალიზის შედეგად, აღნიშნული ნივთიერებები აღმოჩნდებოდა არა კვალის სახით, არამედ უფრო დიდი რაოდენობით.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, თამარ ბაჩალიაშვილის გვამზე გარეგნულად მექანიკური დაზიანების რაიმე ნიშნები არ აღინიშნება“, – განაცხადა ამირან გულუაშვილმა.

გულის ფიცარზე აღბეჭდილი

ვაჟამ გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა



გიორგი ლეონიძე საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს თავს ევლებოდა, თითოეული მათგანის საქებრად თუ გასამხნევებლად ჰქონდა ჩანგი მომართული, თითოეულის სატკივარს სალბუნად ადებდა თავის ოქროს პწკარებს. ყველაზე მეტად ენანებოდა, გონებას უშხამავდა ოსმალთა ველური ურდოებისგან წაგლეჯილ-მიტაცებული დიდი მესხეთი, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, სადაც ოდესღაც დიდებული ქართული ტაძრების ზართა ხმა გუგუნებდა, ქართული წირვა-ლოცვა ისმოდა. ეჰ, რაოდენი ოხვრა და ცრემლია პოეტის ნაღვლიან ამოძახილში:

„ისე დავბერდი,
ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
როდის მოუვა მათ გაზაფხული?“

ცოტა მოზრდილი ტექსტი კია, მაგრამ შეუძლებელია, რომ მთელი გულისყური არ ვათხოვოთ ისეთი დიდი ქართველის ფესვებს, როგორიც გიორგი ლეონიძეა...

დედაჩემის ხასიათი დღესაც განთქმულია გარე კახეთში და სოფიო გულისაშვილი მაგალითად მოჰყავთ ხოლმე, – ამბობს გოგლა ერთ გამოუქვეყნებელ მოგონებაში, – საოცარი კეთილი, პურადი დიასახლისი იყო. პირველი ლექსი, რაც მან დამასწავლა, ასეთი იყო – **„ნეტავი ჩემი სასახლე, მაღლა მთაზედა ამეგო, გამვლელ და გამომვლელისთვის ყოველდღე კარი გამეღო. მშივრისთვის პური მეჯმია, დამზრალი ცეცხლზე გამეთბო, რაც მეშოვნა და მეპოვნა, სულ ღარიბებზე გამეყო“**. საოცრად უყვარდა ბუნება. ბევრი რამ აუხსნია ჩემთვის ბუნების ცხოვრებიდან. განსაკუთრებით უყვარდა ვარდი და ეზოში წითელი ვარდის ჯალა ჰქონდა. მისთვის ყველაზე სასიამოვნო იყო ყანის დახედვა. მახსოვს, ყანა რომ ტანს აიყრიდა და მწვანეში მოითავთავიანდებოდა, წაგვიყვანდა შვილებს ახლო მინდორში ყანის დასახედად და იმის გასაგებადაც, თუ რა მოსავალი მოგვივიდოდა წლეულს. მახსოვს, დიდხანს იდგა გარინდებული მწვანედ აღვივებული, ათქვირებული, ასხივებული, მშვენიერი ყანის წინაშე და მისი მღელვარებით ტკბებოდა. ჩემი აღმზრდელები იყვნენ დედა, დეიდა და მამიდები. ეს ოთხივენი გაზრდილნი იყვნენ სოფლად, უსკოლოდ, მაგრამ მათი წრის მანდილოსნებში მე თითქმის არ შემხვედრია ისეთი ტრფიალი ქართული მწერლობისა და ისტორიისა, როგორიც ისინი იყვნენ. მიყვარდა მათი ლაპარაკის მოსმენა ზამთრის გრძელ ღამეებში. ბევრი რამ საღვთო ჩამრჩა ხსოვნაში იმ ღამეებიდან და ძალიან ბევრი ცხოვრების სახელმძღვანელოდაც.

დედაჩემი უთქმელი ქალი იყო, მაგრამ დეიდა მაიკო დიდი სალმიანი, მეტყველი ქალი, პირზე ვარდი ეშლებოდა. საოცარი ალერსი იცოდა: ჩემო იმედო, ჩემო ათასნაირო, შენი ჭირიმე, ჩემო სიცოცხლევ, შენი გულის ჭირიმე, შენი მუხლების ჭირიმე, ჩემო ცხოვრების ნიავო, სასურველო, სასახელო, საყვარელო, ჩემო სინდისის მზევ, შენ გენაცვალე, ჭირი მოგჭამე, თავს შემოგევლე, გეწამლე, წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე, შენ, ჩემო დამტირებელო, იმ ადგილის ჭირიმე, საცა შენ მომაგონდები და მრავალი ამნაირი. სად წავიდნენ ეს სიტყვები, რატომ აღარ ვხმარობთ ჩვენს ყოველდღიურობაში. ნუთუ ისე გახევდა ჩვენი გული, რომ ეს მდიდრული გულის სიტყვები აღარ არიან საჭირონი? რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს ბავშვებს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს? რად გავიძარცვენით? ხომ გვცივა უამსიტყვებოდ! რატომ დაივიწყეს ეს ქართული ალერსი სიტყვები ახალმა ქართველმა დედებმა? სწორედ მათ საგულისხმოდ ვწერ ამას.

დედა და დეიდა ბავშვებს მუდამ შთაგვაგონებდნენ, რომ შრომა ცხოვრების სიამოვნებაა, რომ შრომა არის საუკეთესო ამხანაგი. თავადაც დღედაღამ შრომაში იყვნენ, არამარტო იმიტომ, რომ ქვრივები იყვნენ და უჭირდათ ცხოვრება, არამედ იმათი მშრომელი ბუნება მოითხოვდა ყოველდღიურ, საოჯახო, საწარმართო საქმეებს. ამის გარდა, ორივე ერთგულად მისდევდა მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას.

მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა კაზმულმა სიტყვიერებამ დედაზე ესოდენ ამაღელვებლად ამაღლებული გულიდან ამოძახილი სხვა არა იცის რა...

მამაჩემი, როგორც ცნობილია, მწერლობდა, ნარკვევებსა და კორესპონდენციებს ბეჭდავდა „ივერიაში“, „დროებაში“, „თეატრში“, გაზეთ „ცისკარში“ და სხვაგან, – განაგრძობს თხრობას გოგლა, – ალბათ, მიტომ იყო ჩვენი ოჯახი მდიდარი წიგნებით. მამაჩემის ბიბლიოთეკაში ღრუბლიან დღეებში ვერთობოდი ამგვარად: მაკრატლით ვჭრიდი წიგნის ყდებსა და იმათგან სათამაშოებს ვაკეთებდი...

კარგად არ მახსოვს, როდის ვისწავლე ანაბანა. ამბობენ, ჩემზე უფროს ძმას რომ ასწავლიდნენ, მაშინ ყურისგდებით ჩუმად შემისწავლია. ასე იტყოდნენ ოჯახში. ასე იყო თუ ისე, ჩემ მიერ ყდააჭრილ წიგნებზე ვისწავლე კითხვა და პირველი წიგნებიც სწორედ ისინი იყვნენ – ილიას და აკაკის თხზულებანი. იაკობ გოგებაშვილის წიგნები უფრო ადრე წავიკითხე. პირველი წიგნი, რომელიც მე მივიღე ნაძვის ხეზე და რომელმაც შემაყვარა მშობლიური ისტორია, ეს იყო იაკობ გოგებაშვილის „თავდადებული ქართველნი“, რომელიც ექვსი წლისამ წავიკითხე 1906 წელს, სოფელ მარტყოფში მასწავლებლისგან ნაჩუქარი. ამას მოჰყვა „ასპინძის ომი“, შემდეგ უკვე ალ. ყაზბეგი, ეგ. ნინოშვილი. ვკითხულობდი ბევრს, უსისტემოდ და განურჩევლად. რვა-ცხრა წლისას უკვე წაკითხული მქონდა „ქართლის ცხოვრება“ და წარმოიდგინეთ, „მარგარიტა გოტიე“ – დიუმასი, ქუთაისში გამოცემული, თარგმნილი ბადრიძის მიერ. „არსენას ლექსი“ ზეპირად ვიცოდით არა მარტო მე, არამედ მთელმა უბნის ბიჭებმა. 1908 წელს გულში ჩამივარდა აკაკის ლექსები. იმ წელს მისი იუბილე იყო და მრავალი მისი პატარა ლექსთა კრებული გამოდიოდა, ერთ-ერთი ასეთი მე ჩამივარდა ხელში. ხშირად ნაძვის ხეზე მაკითხებდნენ აკაკი წერეთლის „სიზმარს“, „დღიურს“, და სხვ.

კარგი იყო ზამთრის მოღუღუნე ღუმელი, ჩვენი ტახტი ჭრელი ხალიჩით, ძველი „ივერიები“ და „მოამბეები“, შიგ ვაჟა-ფშაველას პოემები, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის მოთხრობები და წარმტაცი ვაშლის სურნელება. ზამთარში, როცა ვაშლის გორა დაეყრებოდა მარანში, იმაზე საყვარელი არა იყო რა ჩემთვის. ვაშლის სურნელით გაჟღენთილი იყო ჩვენი სახლი, ვაშლის ქერქს არასოდეს არ გადავყრიდი. დედამ მასწავლა, ვაშლის ქერქი უსათუოდ ცეცხლში უნდა ჩაყარო, ერთი ჩიტი მაგის სუნით ცხოვრობსო. ის ჩიტი დღემდე მოსვენებას არ მაძლევს და სწორედ ის ჩიტია, ლექსებს რომ მაწერინებს.

ერთ-ერთი ჩემი მეზობელი იყო სოლომონ დიაკვანი, მას ჯერ თამარ მეფე, მერე შოთა რუსთაველი სწამდა. სოლომონს არ ასვენებდა თამარის დიდება, სიცოცხლითვე დედამიწას არ ეკარებოდაო. ერთ ადლზე მაღლა დადიოდა მიწიდანო. მაშ, შვილი როგორ ეყოლა? – ეკითხებოდნენ. როგორ არ იცით? მზის სხივის მიერ ეყოლა ვაჟი, – ისეთი სიმტკიცით იტყოდა, რომ შეუძლებელი ხდებოდა მასთან შედავება. რა წიგნია, მაღლად და მშვენივრად თქმული? საქართველოს წიგნი კი არ არის მარტო, სამთელქვეყნოა, იტყოდა სიამაყით, ტყუილად კი არ უთქვამს თვითონ: **„სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისა ხელი აჰყო“**. დამტკბარ შოთას კითხვით აღფრთოვანებული სოლომონი ხელს მაღლა აიშვერდა და იტყოდა – ახლაც ღმერთი ხარ, რუსთაველო! რად არის სახარებაზე ნაკლები– მიაჩერდებოდა მღვდელს და თან დასძენდა, რომ მღვდელი არ გამწყრალიყო – **„შემრისხე და შემიწყალე, მამაო, ვითხოვ მეოხებას“**. მღვდელს არცა სწყინდა და არც ეცალა რუსთაველისთვის. მეტად ნიჭიერი კაცი იყო, ათას სამეურნეო საქმეში გართული. ვკითხულობ და გულს ძგერა ემატება, – განაგრძობდა სოლომონ დიაკვანი, მე არ მინახავს, მაგრამ სოლომონის მეზობლები მარწმუნებდნენ, რომ იგი ყოველ კვირას სანთელს უნთებდა „ვეფხისტყაოსნის“ დამწერს, როგორც წმინდანს. როცა კვდებოდა, შვილებს ანდერძად „ვეფხისტყაოსანი“ დაუტოვა, წიგნი კი არა, „ვეფხისტყაოსნის“ სითბო, კეთილშობილება და სიწმინდე. მე მგონი, რუსთაველის ნაწარმოებს ასეთი ტრფიალი არცა ჰყოლია საქართველოში. საუფლო სული გფარვიდეს, შვილო, – დამლოცავდა სოლომონი, ერთ ორ ტაეპს როცა ვიტყოდი „ვეფხისტყაოსნიდან“.

ჩვენს სახლში აკაკისთან ერთად ილია ჭავჭავაძის კულტი იყო. მახსოვს ჩემი უფროსი და ევგენია და ჩემი ძმა ლევანი გიტარაზე მღეროდნენ ახლად შემოსულ ლექსს ილიას სიკვდილზე. **„ტყესა სცვივა ფოთოლი, მერცხალი აღარა ჭყივის, გაქრა ვაზი ოგოლი, ლხენით აღარა სტირის, სულ გადამხმარა მდელო, მთეგი მოგურვილია, მამულო უგედურო, რად მოჰკალი ილია“**. ეს ლექსი დიდხანს იმღერებოდა ჩვენს ოჯახში, დღესაც არ ვიცი, ვინ შეთხზა, ვინ გადააკეთა ეს ლექსი. ბავშვობისას კი მეგონა, რომ ჩვენს ოჯახში დაიწერა ჩემი და-ძმის მიერ.

დიდი ამაგი აქვთ ჩემზე ზაქარია ჭიჭინაძეს და ივანე როსტომაშვილს, რომლებთანაც თითქმის ყოველ კვირა დღეს დავიარებოდი წიგნების საშოვნელად, განსაკუთრებით ზაქარიას სახლი იყო ჩემი ბიბლიოთეკა. ახლაც კარგად მახსოვს თუმანოვის ქუჩაზე 30 ნომერში პატარა სახლი, წინ პატარა უნაბის ხე, ხოლო ოთახის კედლები ჭერიდან ძირამდის წიგნებით შეხურხლული. ივანე როსტომაშვილი იყო ჩემი პირველი ლექსის დამბეჭდავი, რედაქტორი ორკაპიკიანი გაზეთ „სინათლისა“. 1911 წელს იქ დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსები „მცხეთა“, „ხმალი“, თუმცა ამაზე ადრე, სახელდობრ, საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ 1910 წლის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა პატარა მოწაფე გიორგი ლეონიძის ხელმოწერით ჩემი პაწია თარგმანი „მხვნელ-მთესველთა მეგობრები“.

ივანე დიდი ენთუზიასტი იყო, რედაქტორი ისტორიულ-არქეოლოგიურ ჟურნალ „მოგზაურისა“, ქართული ენციკლოპედიის გამომცემელი. პედაგოგიური სახელმძღვანელოების, „ნერგის“ და სხვადასხვა სამედიცინო, საოფლო-სამეურნეო პედაგოგიური წიგნების, ბროშურების შემთხზველი და გამომცემელი. ამ დაუცხრომელმა მოღვაწემ გადაწყვიტა იაფი ორკაპიკიანი გაზეთის გამოცემაც. მალე გაზეთს გაუჭირდა და ივანემ, როგორც ფანტასტიკურმა ორგანიზატორმა, თავის გაზეთში გამოაცხადა: **„დაგეჭდვის ხარჯებს ვეღარ ავუდივარ, ვთხოვ ჩემს თანამშრომლებს დამეხმარონ. ამიტომ კარგი იქნება, თუ ჰონორარის ნაცვლად თითო სტრიქონზე თვითონ თანამშრომლები გადაიხდიან თითო კაპიკს თავიანთ ნაწარმოებზე“**. იუმორისტულმა ჟურნალმა „ეშმაკის მახემ“ აღარ დააყოვნა პასუხი: **„ხე ნაყოფით იცნობაო“**, – ნათქვამია: **„სად არის ნაყოფი თქვენი შაურიანის და ორშაურიანის გაზეთებისა“**...

ცნობილია, მაგრამ, როგორც ლოლაშვილიც იგონებს, მეც თვალწინ მიდგას ჩემი გიორგი ლეონიძე: მაღალი ტანის კაცი იყო, მსხვილძვალა და კუნთმაგარი, მკვირცხლი და სწრაფმოძრავი. სიარულის დროს ფეხს მსუბუქად იმორჩილებდა, აღმართზე ქარივით მიჰქროდა. მუზეუმის სართულებს ისე ჩქარა აივლიდა, რომ თვალის დახამხამებისთანავე კიბისთავზე დალანდავდით. გრძელი ჯოხით იცოდა სიარული, მე სირბილით მივდევდი. ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლისას ძალიან ფრთხილობდა. კილომეტრზე მომავალი მანქანა რომ დაენახა, სანამ არ გაატარებდა, ადგილიდან არ დაიძვროდა.

ჰქონდა მოწამლისფრო თხელი თმა, ცისფერი თვალები, მოგრძო ცხვირი, ბოხი ხმა. ლაპარაკის დროს ხშირად გვერდზე ყურება უყვარდა. თუ გაბრაზდებოდა, ძლიერ უტევდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მალე შოშმინდებოდა. არ ჰქონდა ღვარძლიანი გული; მისგან დასჯილი (ან დათხოვნილი) თანამშრომელი არ მინახავს. დამნაშავეს გაკიცხავდა, გათათხავდა, მაგრამ ხელსაკრავად არ იმეტებდა. როცა ნერვიულობდა, თითებს ამოძრავებდა: ორივე ცერს ატრიალებდა მარჯვნიდან მარცხნივ. ხშირად იდგა ფანჯარასთან და ფიქრობდა, ან სავარძელში ჩაჯდებოდა და პაპიროსს აბოლებდა. როცა წერდა, მარცხენა ხელით თავს იმაგრებდა. თუ ვინმეს ტელეფონით ელა-

გოგლა და გალა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115

პარაკეგოდა, მაგიდას ზურგს შეაქცევდა, კედლის მხარეს ჰქონდა პირი მიქცეული. ტელეფონსა და ავტომანქანას სხეულის ნაწილებივით ხმარობდა.

იცვამდა სეზონის შესაფერისად კარგად. მცივანა იყო, ზამთრობით ძალიან თბილ პალტოსა და ბოხოხა კრაველის ქუდს ატარებდა. ულვაშს იპარსავდა, ზოგჯერ კი მოკლედ უშვებდა ცოტა ხნით. გაუპარსავს ვერასდროს ნახავდით, საკუთარი პარიკმახერი ჰყავდა.

ეწეოდა ბოჰემურ ცხოვრებას. ოფიციალობას ვერ იტანდა, რეჟიმს არ იცავდა, არც დღის განრიგს ეწყობოდა. წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში მასზე იმდენი რამ იბეჭდებოდა, მისი სახელი ისე ქუხდა ყველგან, რომ სახელისა და გვარის მოხსენიებით თითქმის ყველა იცნობდა. ნამდვილი სახალხო პოეტი იყო და საყოველთაო პატივისცემასაც იმსახურებდა ხალხისგან. ყველა ინსტანციაში მიესვლებოდა, ყველასთან თავისუფლად ლაპარაკობდა კერძო თუ საზოგადო საქმეზე, პირისპირ ან ტელეფონით. რასაც სხვა ერთი თვის განმავლობაში ძლივს აკეთებდა, ამას იგი ტელეფონზე ერთი დალაპარაკებით აღწევდა. ამიტომაც ყურმილი ყურზე ჰქონდა მიჯაჭვული. ჩვენ, მუზეუმის თანამშრომელნი, მოვალენი ვიყავით, სამსახურში მისვლისთანავე მოგვეხსენებინა: ვინ დარეკა, როდის და რა საქმეზე.

პირად საბუთებს ჯიბით არ ატარებდა, ამბობდა: რად მინდა მოწმობა (ან პასპორტი)? განა ისედაც არ იციან, ვინა ვარ? ამის გამო ერთხელ უსიამოვნება შეემთხვა: გოგლა და მე დაგვიბარა ვალერიან ხატიაშვილმა დღის 11 საათისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო კომიტეტში, რომელიც მოთავსებული იყო სამინისტროს შენობაში, მეხუთე სართულზე. კომენდატურაში საშვის გამოსაწერად პასპორტები მოგვთხოვეს. გოგლას არც ერთი საბუთი არ აღმოაჩნდა. კომენდანტმა არ იცოდა, ვინ იყო გიორგი ლეონიძე და საშვი არ მისცა. გოგლა განერვიულდა: ბომბი კი არ მიმაქვს ხატიაშვილის ასაფეთქებლად, იმას აქვს ჩემთან საქმე! როგორც იქნა, დავაწყნარე, ხოლო კომენდანტს ვუთხარი: ნუთუ გიორგი ლეონიძეს, ცნობილ პოეტს არ იცნობთ? იმას თავისი უვიცობისა შერცხვა და ორი საშვი გამოწერა. გოგლა მაინც განრისხებული იყო, ძლივს დავითანხმე კომიტეტში ასვლაზე, გზად ორივე ცერს ატრიალებდა ნერვიულობისგან.

გუშინდელივით მახსოვს 1953 წელი. სკოლა თბილისში იმ წელს დავამთავრე. ახლა იმ სკოლას, მაშინ მე-3 რკინიგზისას, ახლა მეასეს, საჯაროს, სამართლიანად ჰქვია ჩვენი ყოფილი დირექტორის, არაჩვეულებრივი პედაგოგის, წარმოშობით ნუკრიანელი მიხეილ შაიშმელაშვილის სახელი. ჩვენს სკოლაშივე სწავლობდნენ ბატონ მიხეილის ვაჟები – თამაზი და ნუკრი, რომლებიც სახელოვანი ქართველები დადგნენ... გამოსაშვებ გამოცდაზე ქართულში დავწერე „სტალინის სახე ქართულ პოეზიაში“ ძირითადად გიორგი ლეონიძის „**სტალინის გავშვოვისა და ყრმოვის**“ მიხედვით. გოგლას ამ ვეებერთელა პოემის პირველი ნაწილი ასე მთავრდება და მეც ჩემი თემა ასევე დავამთავრე:

სხივაკრეფილი მზე ჩადის,
ვარსკვლავამაც შეიჭახჭახა...
მზე ჩადის...
მზე ხვალ ამოვა –
უფრო დიდი და ჩახჩახა!

მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო დიდი და ჩახჩახა მზე აღარ ამოვიდა, გათახსირებული, ქართველთმოძულე, უწიგნური ხრუშჩოვი დაუნდობლად დაერია მთელ კავშირში სხვადასხვა თანამდებობაზე განწესებულ ქართველთ, ზოგი დაიჭირა, ზოგიც დახვრიტა. ბავშვები, ჯერ ისევ უასაკონი, ვერ ვერკვეოდით, რაც მოხდა, რაც ხდებოდა და ლექსიც კი გამოვიგონეთ ანტისტალინელ პოლიტიკოსთა ფეხის ხმას აყოლილმა სხვათაჭკუა ბავშვებმა:

ჩქიმ ლავრენტი ბერიაო
ლობიოს გაუბერიაო!..

ბევრი გვიშლიდა, რაც არ გესმით, იმ საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფთო, ბევრნიც გვაქებებდნენ და გვაგულიანებდნენ. 1956 წელმა სულ გადაგვრია. ხრუშჩოვის ფარულმა მოხსენებამ პიროვნების კულტის თაობაზე ქართველი ახალგაზრდობა ქუჩებში გამოგვიყვანა, რადგან ქართველი სტალინის შეურაცხყოფა მაშინ თვითონ საქართველოს და ქართველი ხალხის შეურაცხყოფად აღიქმებოდა, თანაც ვისგან? ტაკიმასხარა რუსისგან, რომელსაც გუშინ სტალინი თავში ჩიბუხს უჩაჩქუნებდა. როგორც კი შეიტყო იმ გათახსირებულმა, საქართველოში რაც ხდებოდა, ჯარი შემოიყვანა, უამრავი ახალგაზრდა დაახოცინა და მტკვარში გადააყრევინა. მშობლებს დახოცილი შვილების დამარხვის უფლებასაც არ აძლევდნენ. მუსკომედიის თეატრის დირექტორი, გვარად შანიძე, მგონი, დაიჭირეს კიდეც, შენს ხულიგან და მოღალატე შვილს რატომ მარხავო... მახსოვს უნივერსიტეტის მესამე კორპუსში ვიყავით, სამხედრო კათედრაზე, ილია ჭავჭავაძის გამზირზე ახალგაზრდების დიდმა ჯგუფმა რომ ჩამოიარა, წინ ვასილ მჟავანაძე მოუძღოდათ, რომელსაც გვერდში ედგნენ გიორგი ლეონიძე და ირაკლი აბაშიძე.

ხრუშჩოვმა მალევე ახლა ჩერკასკში ჩაახშო უკმაყოფილო მუშების გამოსვლა. ერთი სიტყვით, ამ უტვინო ხელმძღვანელის გამოისობით მთელ ქვეყანაში სისხლი იღვრებოდა ხან იქ, ხან აქ. გოგლა საშინელ დღეში იყო, ძალიან განიცდიდა ამ ამბებს, რა ხდება, ხალხო, გუშინ სამშობლოსთვის, სტალინისთვის ვიბრძოდით, დღეს კი რუსი შოვინისტები და ნაცისტები განაქიქებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველიაო.

ჩანაწერი ახალი ღლიურიდან: *„ჩემი გიორგი ლეონიძის“ ბეჭდვა დავიწყე 17 სექტემბრიდან. უკვე ბევრმა დამირეკა, ჩემთვის ძვირფასმა ადამიანებმა (ნუგზარ ფოფხაძემ, დილარ ივარდავამ, ზურაბ ლომიძემ, გუგული მაისურაძემ), შუადღისას ქუთაისიდან დარეკა ჩემი სიყრმის მეგობარმა და თანაკურსელმა ალეკო შენგელიამ, უთუოდ კარგმა ჟურნალისტმა და არანაკლებმა პოეტმა. მე ჩემით გადმოვცემ, რაც იმან მიამბო. აკი ვთქვი, არაფერი, თვით თითქოს უმნიშვნელო წვრილმანიც არ უნდა დაიკარგოს-მეთქი, რამეთუ ჩვენი ამქვეყნად ყოფნა დიახაც წვრილმანებისგან შედგება...*

მაშინ გაზეთ „თბილისის“ რედაქცია ახლანდელი რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის შენობაში იყო რუსთაველის მეტროს მოპირდაპირე მხარეს, მეოთხე სართულზე, მესამეზე იყო ინსტიტუტი და გიორგი ლეონიძის კაბინეტი. მე არ ვიცოდი, საშა ბურთიკაშვილი, რომელიც „თბილისის“ რედაქციაში თეატრალურ მიმომხილველად მუშაობდა, თურმე პატარძეულელი ყოფილა, გიორგი ლეონიძის ბავშვობის მეგობარი. ამიტომ საშა ხშირად თუ თავის ოთახში არ იყო, უნდა ლეონიძესთან გვეძებნაო. საშას სცოდნია, რომ გოგლას მშრალი ხაში უყვარდა, ამიტომ თავის შინაბერა დას (თვითონაც ბერბიჭა იყო, ოჯახმწუნი) მალ-მალ ახარშვინებდაო ხაშს და გოგლასთან ერთად იწვევდა ჩვენს ალეკოსაც და თბილისის ერთ-ერთ გამწევ ჟურნალისტს დავით მელუხას. ალეკოს მაშინ გაუგია სწორედ გოგლასგან, რომ ილიასაც, ჭავჭავაძეს, თურმე მშრალი ხაში ჰყვარებია, ოღონდ არა შუა ზაფხულში, მაგრამ გოგლას იმდენად ჰქონია გული შევარდნილი თავის ბავშვობის ძმაკაცზე, რომ უარს არ ეუბნებოდაო. გოგლა ამ დროს თურმე, ლიტერატურაზე საერთოდ არ ლაპარაკობდა, მხოლოდ თავის ბავშვობას იგონებდა საშასთან ერთადო. ერთხელ ისიც გაუხსენებია, საშა იორში დახრჩობას რომ გადაარჩინა...

ერთხელაც გოგოლას თავისთან მიუხმია ეს ჩვენი ალეკო. 1966 წელია, მაისი. რუსთაველის წლად გამოცხადებული. გოგლასთან სტუმრად ყოფილა იაპონელი პოეტი იპეი ფუკურო (1877-1971), რომელსაც 1983 წელს ემოგზაურა საქართველოში. მან ჯერ პროზაულად თარგმნა და გამოსცა 1955 წელს „ვეფხისტყაოსანი“, თანაც რამდენჯერმე პაიასე ტადაჩისა და მიხაი ზიჩის მიერ დასურათხატებული, ხოლო მერე მთელი ტექსტი პოეტურად თარგმნა (გამოიცა 1972 წელს), რასაც გოგლა ვეღარ მოესწრო. აბა, შენ იციო, შეგულიანებია გოგლას ალეკო, ჩამოართვი ინტერვიუ, სურათიც გადაუღეთ და დაბეჭდილი აჩვენეთო. „თბილისი“ მაშინ საღამოს გაზეთი იყო. ალეკოს მართლაც უყოჩაღია და იმ საღამოსვე მიუტანია ფუკუროსთვის ინტერვიუიანი გაზეთი. ის ისევ გოგლასთან ყოფილა კაბინეტში. გოგლას ძალიან გაჰხარებია ალეკოს ოპერატიულობა, სტუმარსაც მოსწონებია და ძვირფასი კალმისტარი ამოუღია ალეკოსთვის გადასაცემად. მე, დავირცხვინეო, ალეკომ, მაგრამ გოგლამ ისევ შემაგულიანაო, გამოართვი, ბიჭო, საჩუქარი არ დაუწუნოო, უთქვამს, რა იცი, იქნებ შენც რამე იაპონური თარგმნოო, პოეტი კაცი ხარო.

შენმა მოგონებამ მეც მოგონების ხასიათზე დამაყენაო, მითხრა ბოლოს ალეკომ. შენ ხო იცი, ჩემი კერპი გალაკტიონია, მაგრამ გიორგი ლეონიძე არანაკლებ მიყვარსო. ქართულ პოეტურ ცას არცთუ ბევრი კურთხეულია შებურჯეებულ-შეზურგებული, რომელთა შორის გალაკტიონისა და გოგლას ბუმბერაზ მხრებსაც ღირსეულად უჭირავთ ეს ცაო... სხვათა შორის, იმ ფუკუროს ნაჩუქარი კალმით მართლაც ვთარგმნე იაპონური ტანკებიო.

მე კი ნამდვილად მახარებს ჩემი ესეი-მოგონების დასაწყისის გამო ჩემთა კეთილისმყოფელთა სატელეფონო ზარები, რაც ღრმად მარწმუნებს, რომ სულმნათი გიორგი ლეონიძე მარტო ჩემი კი არა, მთელი საქართველოს გიორგი ლეონიძეა, მთელივე საქართველო სათქმელის საუკუნეებში გამხმიანებული...

გ. გ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

„ხორნაბუჯი“ –
ხორნაბუჯივით საიმედო და ფუძემაგარი

21-ე საუკუნეში, როდესაც ელექტრონულმა მედიამ და კომპიუტერიზაციამ დაიპყრო მსოფლიო, თითქოს წიგნმა და პრესამ უკან გადაიწია. სწორედ ამ დროს მართლაც გმირობის ტოლფასია, როცა გამოჩნდებიან ისეთი პიროვნებები, რომლებსაც ძალუძთ ასეთი გამეფებული სტერეოტიპების ნგრევა და, მიუხედავად დიდი პრობლემებისა და წინააღმდეგობებისა, მაინც იმისთვის იღვწიან, რომ გზა გაუკვალონ ბეჭდვურ მედიას. სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ შესანიშნავი პოეტი, დედოფლისწყაროს მწერალთა ორგანიზაციის თავკაცი, ბატონი **გიორგი ნატროშვილი** და მის მიერ დაარსებული და უკვე ფრიად პოპულარული ლიტერატურული ალმანახი **„ხორნაბუჯი“**.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თავკაცთა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ დღევანდელი ეკონომიკური არასახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, შეუძლებელი შეძლეს და ეს მართლაც უმშვენიერესი ჟურნალი ასერიგად პოპულარული გახადეს თავიანთი ხელშეწყობით, არა მარტო საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, არამედ სრულიად საქართველოში. „ხორნაბუჯი“ იუბილარია – მას ხუთი წელი შეუსრულდა და რაოდენ სასიხარულო და საამაყოა, რომ ამ მცირე ხნის მანძილზე მან თავისი ერთგული მკითხველი შეიძინა.

ბატონ გიორგის დამსახურებად ითვლება, რომ ალმანახი არა მარტო ერთი კუთხის ლიტერატურულ ცხოვრებას ასახავს, არამედ მთელი საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოღვაწე ლიტერატორთა შემოქმედებასაც უთმობს ადგილს. ამის ნათელი დასტურია ის მისალოცი ადრესები და კეთილი სიტყვა-რჩევები, რომლებიც ალმანახის საიუბილეო ნომერში გამოქვეყნდა, და რომელთა ავტორებიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში გამომავალი ლიტერატურული ალმანახების რედაქტორები, იქ მოღვაწე მწერლები და საზოგადოების წარმომადგენლები არიან. ალმანახს საიუბილეო თარიღს ულოცავენ საქართველოს მწერალთა კავშირი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, პარლამენტარები, საზოგადო მოღვაწეები და რამდენადაც სასიხარულოა – სასულიერო პირებიც. აქედან ჩანს, თუ რა მრავალფეროვანია ჟურნალის მკითხველთა წრე.

შორს წაგვიყვანს ალმანახის აგვისტოს ნომრის იმ ავტორთა და მეტად საინტერესო სტატიების ჩამოთვლა, მაგრამ ერთს ვიტყვით, რომ ლიტერატურულმა ალმანახმა არ უღალატა ტრადიციას და მკითხველს საიუბილეო ნომერში შესთავაზა უკვე დამკვიდრებული და საინტერესო რუბრიკები – პოეზია, პროზა, დებიუტი, დრამატურგია, მსოფლიო კლასიკოთა თარგმანები, პუბლიცისტიკა, დედოფლისწყაროს გამოჩენილი ადამიანები და გახსენება.

ჩვენი, საუკუნეს გადაცილებული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მთელი კოლექტივი გულითა და სულით ულოცავს ალმანახის თანამშრომლებსა და გამომცემლებს, მის ერთგულ მკითხველებს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ პროფესიულ წინსვლას, შემოქმედებით წარმატებებს. კვლავ ასე თავდაუზოგავად იღვაწეთ ქართული მწერლობის წინსვლისა და აღორძინებისთვის.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
თანამშრომელთა სახელით, თქვენი ერთგული მკითხველი
და პატივისმცემელი
მამუკა ვაშაკიძე.



„მიშასა ჰკრეს პანღური, ვაშაძეს კი – ნიახური“

(პირველი გვერდიდან) **„დაურეკავ ალეკოს, გუგავა მოვა, დაავალებ მიშას, რომელიც ვაშაძეს გაახსნევინებს თავსახურს და ბოლოს, ხაზარაძე დადებს ლელოს. ჰო, ევრო-საქები ამასობაში ხელშეკრულებასაც დაგიდებენ. შენ დაუკა! აბა, რა მოგვაწყენს ამათ ხელში?!“,** – აცხადებს პოლიტოლოგი **დავით ზარდიაშვილი,** რომლის განცხადებით, მთავარი არა სლოგანია, არამედ ის, რა არის ამ სლოგანის უკან. მისი თქმით, „დაავალე მიშას“ ეს იგივეა, რაც „მიშა მაგარია“ და ამით ნაციონალები ამომრჩეველს ეუბნებიან, რომ მთელი ქვეყანა ისევ მიშას უნდა ენაცვალოს.

„დაავალეთ მიშიკოს!“ და ასევე, ზუგდიდში დედამისის კანდიდატად დაყენება, მანიფესტირებაა სააკაშვილის ბავშვობის დროიდან მომდინარე ღრმა კომპლექსებისა. ეს არის არსებითად იგივე „დედა გენაცვალოს“ მდგომარეობა, რაც მიშიკოს ადრეული ბავშვობიდანვე ჩამოუყალიბდა და მუდმივად მეორდება. მას ტვინში და გულში ჩაუბეჭდეს, რომ იგი ყველაზე ნიჭიერია, ყველას ჯობს, ყველაზე უკეთესად ასრულებს საშინაო დავალებებს, ყველაზე ხუთოსანი და ყველაზე ოქროს მედალოსანია, არავის მისცემენ უფლებას, დედა და დედის ძმა დაჩაგრონ, რაიმეთი აგრძნობინონ, რომ სხვას უკეთესად შეუძლია და ამით გული ატკინონ! „ენაცვალოს დედა. ჩემი მიშიკო ყველას სჯობია და არავის დავაჩაგვრინებ!“ – ესაა და ეს.

„დაავალეთ მიშიკოს!“ – გული რომ არ ეტკინოს! ხიხოს აღარ ჯობია?! ენაცვალოს დედიკო!

მარტო დედიკო რომ ენაცვალოს, ჯანდაბას, მაგრამ გაიზარდა ბიჭი, უფრო და უფრო მეტი ადამიანის „გენაცვალეობა“ სჭირდება. ბოლოს მთელი ქვეყანაც ინაცვალა. ახლაც, მისი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად დასახელება, როცა ეს აბსოლუტურად შეუძლებელია, ისევ „მთელი ქვეყანა მენაცვალოსო!“ – მანიფესტია! „დაავალეთ მიშიკოს“ – ესაა, რომ მიშიკო ყველაზე მაგარია. ჩვენი ადგილი კი, როგორც დამვალებლებისა, აქ საერთოდაც არ არის.

ფსიქოლოგები ალბათ იტყვიან, რომ ეს ყველაფერი – უმამოდ გაზრდის ბრალია. მის გაზრდაში კაცის ხელი არ ურევია და ამიტომაც არაკაცად იქცა. ბიძა აქ კაცი კი არ არის, დედის ძმაა. ეგ არც შვილად ვარგა, არც ქმრად ივარგებდა, რადგან ცოლისგანაც ალბათ დედობას, „დედა გენაცვალოს“ ითხოვდა და ამაზრზენი ისაა, რომ ქვეყნისგანაც გამუდმებით, გამაოგნებელი დაჟინებითა და უტიფრობით იგივეს ითხოვს! ეგეთ ხუთოსნებზე ნაძირალა და არამზადა არსად არავინ გაზრდილა ჯერ“, – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

რაც შეეხება „ალეკო გისმენთ“ – ზარდიაშვილის განცხადებით, ეს პოპულიზმის კლასიკაა, როდესაც ელისაშვილმა თავისი პირადი ნომერი საარჩევნო ბანერზე გამოაქვეყნა.

„ამიერიდან შეგვიძლია მას „ალეკო პუბლიჩნი“ ან – „პუბლიჩნი ალიკ“ დავარქვათ. ცხადია, „პუბლიჩნი ალიკა“-ს ხელმისაწვდომობა ინტიმური ტელეფონისაზე ბევრად მეტია, რადგან ინტიმური ტელეფონის მომსახურება იაფფასიანია, „ალეკო პუბლიჩნის“ სატელეფონო პოლიტიკური მომსახურება კი – სულაც უფასო! აქამდე მას დღეში 10 კაცი ურეკავდა, ახლა 11 დაურეკავს. აქამდე მას 100-დან ერთი მისცემდა ხმას, ახლა 0, 5 თუ მისცემს. რატომ? იმიტომ, რომ ხმის მიცემას ჯობს, დაურეკო და ხმა გააგონო.

აგერ ვაშაძეს კოტე ყუბანეიშვილი უწერს ლექსებს, არასერიოზულია. აღმაშენებლად უნდა ყოფნა, რაც არის ქართველი ხალხის აბუჩად აგდება. ყუბანეიშვილის სხარტულა ლექსებით, შაირობით და კაფიობის ფორმით ადამიანებისთვის ამ სლოგანის მიწოდება, საერთოდ თავხედობაა. ამას ისევ ლექსად უნდა უპასუხო – **„მიშასა ჰკრეს პანღური, ვაშაძეს კი – ნიახური“.**

რაც შეეხება „ლელოს“, როდესაც ხალხს ჰპირდები სიგიჟეს, რომ 600 ათას კაცს 3 ათას ლარზე მეტი ხელფასი ექნება, ეს ნიშანვს, რომ აბუჩად იგდებ, რადგან ყოველგვარ რეალობას არის მოწყვეტილი. აგერ „ევროპული საქართველოს“ სლოგანია „ხელშეკრულება ხალხს“, ესეც ხომ თავიდან ბოლომდე ფეიკია?!. დიდი ხანია მათთან ქართველმა ხალხმა ყველაანირი ხელშეკრულება გაწყვიტა, ხელისუფლებიდან გაუშვა იმიტომ, რომ თავზე წამოგვასკუპდნენ და ჩვენს ხარჯზე მოიწყვეს ცხოვრება. ასეთი ხელშეკრულება არ გამიგია, ერთი მხარე დებდეს და მეორე მხარე მუდმივად ზარალდებოდეს, აბსურდია“, – აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძის** შეფასებით, „დაავალე მიშას“ კარგად იმუშავებს სააკაშვილის მხარდამჭერებზე, თუმცა საწინააღმდეგოდ იმუშავებს ნეიტრალურ ამომრჩეველზე.

„ძირითადად მუშაობენ პიარზე. ის, რომ მათ არა აქვთ მაღალი მხარდაჭერა, ეს მათაც მშვენივარდ იციან. აქედან გამომდინარეობს ის 80 თეთრი, რომელზედაც სააკაშვილი ლაპარაკობს, მშვენივრად იციან, როგორი მხარდაჭერა აქვთ. პირადპირი გაგებით ამომრჩევლის მოსყიდვას აწარმოებენ.

რაც შეეხება ელისაშვილს, ის ახლა შემოდის პოლიტიკაში, ფეხმოკიდების პრობლემა აქვს, ნაკლებად იცნობენ. ტელეფონის ნომრის ბანერზე დატანება ესეც პიარია. არა ქვს ინფრასტრუქტურა და არც ისეთი გუნდი ჰყავს, რომ უშუალო შეხვედრები მოახერხოს და ყველა ამომრჩეველთან მივიდეს. ამიტომ, ტელეფონის ნომრის გასაჯაროვება ერთ-ერთი ხერხია. ორივე პიარია, მაგრამ განსხვავებულია მიზანი.

ვაშაძეს ყუბანეიშვილის პოეზიით მიჰყავს საარჩევნო კამპანია. სლოგანს დამახსოვრებით კი დაიმახსოვრებს ამომ-

---

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლია ბერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლია ბერაძე (პ/ნ 01015013977), ქ. თბილისი, შ. ყავლაშვილის შეს. №3

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ნავთლუღის ქ. №10, კორპ. 1, სად. 2, სართ. 14, ბინა 195 (საკადასტრო კოდი: 01.17.12.023.055.01.01.195https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 89916.13 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 21 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 5 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67673920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 676739

6. **მოვალე:** ლია ბერაძე (პ/ნ 01015013977), ქ. თბილისი, შ. ყავლაშვილის შეს. №3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67673920; ლოტის ნომერი: 676739).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 5 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბადრი ჯაბუას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბადრი ჯაბუა (პ/ნ 62006015044), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი (საკადასტრო კოდი: 43.18.44.211https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 71375.65 ლარი.
აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 18 სექტემბერი, 14:00 საათი.
აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 2 ოქტომბერი, 14:00 საათი.
აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP67644420;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 676444

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბადრი ჯაბუა (პ/ნ 62006015044), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ფოთი, კოლხეთის ქ. №42 (საკადასტრო კოდი: 04.02.02.066https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 63296.68 ლარი.
აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 18 სექტემბერი, 14:00 საათი.
აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 2 ოქტომბერი, 14:00 საათი.
აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP67643920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 676439

3. **მოვალე:** ბადრი ჯაბუა (პ/ნ 62006015044), ზუგდიდის რაიონი, სოფელი ინგირი
4. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
5. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

6. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (1. განაცხადის №71271HZP67644420; ლოტის ნომერი: 676444; 2. განაცხადის №71271HZP67643920; ლოტის ნომერი: 676439).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 2 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

რჩეველი, ოღონდ რამდენად სერიოზულად მიიღებს, აი, ეგ არის თემა. არ ვიცი, არა მგონია, ამ სლოგანებმა ამომრჩეველზე დადებითად იმუშაოს, მეეჭვება, რომ რამე შესძინოს, ან დამატებითი ხმები მოუტანოს. არასეროზულის შთაბეჭდილებას ახდენს, როდესაც ასეთი სლოგანით მეუბნებიან, რომ სამსახური მჭირდება.

აგერ შალიკომ გვითხრა, გუგავა მოდისო, ყველა „ველოდებით“, მაგრამ არ მოდის. შალიკო მთელი ოჯახით იყრის კენჭს, ძველ საერისთავოში — შვილი, თვითონ — თბილისში. იცით რა, საჭირო მანდატების დიდი რაოდენობა ჰქონდეს, ამიტომ მამა-შვილი იბრძვის და მერე, როცა ექნებათ 76 მანდატი, მოიყვანენ გუგავას, ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა“, — აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

საპარლამენტო არჩევნებში ნათელაშვილების დინასტია მონაწილეობს. პირველი მშრომელი საარჩევნო სლოგანის გარეშე შეეცდება ამომრჩევლის გულის მოგებას, თუმცა ისევ ძალაში რჩება ნათელაშვილისეული სლოგანი — „გუგავა მოვა“.

პოლიტიკურ რეკლამებს უწყვეტად უყურა ანალიტიკოსმა **სოსო მანჯავიძემ,** რომლის შეფასებით, იმდენად კომიკურია სლოგანები, რომ რეჟისორის ხელის გარეშეც შესაძლებელია კომედიური ჟანრის ფილმის გადაღება.

„პირდაპირ კომიკური სიუჟეტია მთელი ეს სარეკლამო კამპანია, რომელიც მიმდინარეობს. „დაავალე მიშას“, „დაურეკე ალეკოს“, „გუგავა მოვა“, იქ ყუბანეიშვილი კითხულობს ვაშაძისთვის ლექსებს — „როგორც ღვინოს თავსახური, ხალხს ჭირდება სამსახური!“ ეს ადასტურებს, რომ კასტა, რომელზეც არაერთგზის მისაუბრია, დაცლილია ყოველგვარი გემოვნებისგან, ზნეობისგან. თვითონ ეს პროცედურა, როდესაც ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ გაქვს, იქცევი ისე, რომ თითქოსდა ხელისუფლებაში მოდიოდე და პოზიციონირებ როგორც ხელისუფალი, ეს ხომ დიდი ტყუილია და შესაბამისად, ამ ტყუილიდან გამომდინარე სხვა ყველაფერი კომიკურ ეთერში გადადის“, — ამბობს ანალიტიკოსი.

როგორც სოსო მანჯავიძე ამბობს, ეს პირველად არ ხდება. 90-იან წლებში, როდესაც სიახლე იყო მრავალპარტიულობა და ხალხს კიდევ ჰქონდა წარმოდგენა, რომ ტელევიზიიდან და საჯარო სივრციდან გაჟღერებულ სიტყვას ფასი ჰქონდა, დაპირების შესრულების იმედი ჰქონდათ.

„როდესაც ეს პოლიტიკური აფერისტები ხალხის ნდობას მოერგნენ, იკეთეს პოლიტიკური კარიერები, დააგროვეს ქონება და არა მარტო, დღეს ჩვენ ვხედავთ ისევ ამ ტრენდის ცოხნას, მით უმეტეს იმ სუბიექტებისგან ვისაც არანაირი პოლიტიკური რეიტინგი არ აქვთ, პირიქით, უზარმაზარი ანტირეიტინგი აქვთ. მიუხედავად ყველაფრისა, მიმდევრები კვლავ ჰყავთ, ისინი, ვინც ჩარჩენილი არიან იმ 90-იანი წლების ინერციაში, რომელიც საბჭოთა კავშირის ინერციიდან მომდინარეობს“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას სოსო მანჯავიძემ.

თამთა ქარჩავა

ჩვენს შორის ვინც ომის დროს გარბოდა, იმის დედა ვატირე!

ევროპული **საქართველოს მიერ სხდომათა დარბაზის დატოვებას „ქართული ოცნების“ მხრიდან ხმაური მოჰყვა.**

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა და მაჟორიტარობის კანდიდატმა ნაძალადევში მიხელ ყაველაშვილმა ევროპული საქართველოს მიერ დარბაზის დატოვებას უპასუხა და პარტიის წევრებს მიმართა, რომ ისევე გარბიან დარბაზიდან, როგორც ომის დროს.

გიგა ბოკერიამ ამ განცხადებას კი ასე უპასუხა: **„ჩვენს შორის ვინც ომის დროს გარბოდა, იმის დედა ვატირე“...**

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ,,ემჯი ჰოლდინგი'' კრედიტორ ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას'' განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რამიზ ეიბოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რამიზ ეიბოვი (პ/ნ 36001035685), საგარეჯო, სოფელი თულარი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, ს. თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.51.081https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10421.52 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 21 სექტემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 5 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP67674920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 676749

6. **მოვალე:** რამიზ ეიბოვი (პ/ნ 36001035685), საგარეჯო, სოფელი თულარი;
რიზვან ეიუბოვი (პ/ნ 36001011020), საგარეჯო, სოფელი თულარი;
ფარმან კარიბოვი (პ/ნ 36001018744), საგარეჯო, სოფელი ლამბალო, მე-4 ქ. №2;
ადილხან ეიბოვს (პ/ნ 36001013147), საგარეჯო, სოფელი თულარი, მე-2 ქ. №13.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს ,,ემჯი ჰოლდინგი'' (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია''.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ,,ემჯი ჰოლდინგის'' საბანკო ანგარიშზე (ს/ს ,,თიბისი ბანკი'', ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP67674920; ლოტის ნომერი: 676749).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 5 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ,,ემჯი ჰოლდინგი'' კრედიტორ ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას'' განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნაირა ანჩაბაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნაირა ანჩაბაძე (პ/ნ 19001084582), ზუგდიდი, ოდესის ქ. №31

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ქობულეთი, ვერულიძის ქ. №5, სართული 1, ბინა №54 (საკადასტრო კოდი: 20.42.03.523.01.054https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 64348.75 ლარი.

აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 18 სექტემბერი, 14:00 საათი.

აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 2 ოქტომბერი, 14:00 საათი.

აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP67645720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 676457

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნაირა ანჩაბაძე (პ/ნ 19001084582), ზუგდიდი, ოდესის ქ. №31

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. სამტრედია, ბესიკის ქ. №4 (საკადასტრო კოდი: 34.08.51.102https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 50541.77 ლარი.

აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 18 სექტემბერი, 14:00 საათი.

აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 2 ოქტომბერი, 14:00 საათი.

აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP67645820;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 676458

3. **მოვალე:** ადა მალანია (პ/ნ 62602025175), ზუგდიდი, კომბინატის დასახლება, ჯანაშიას ქ. №25
4. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს ,,ემჯი ჰოლდინგი'' (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
5. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია''.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ,,ემჯი ჰოლდინგის'' საბანკო ანგარიშზე (ს/ს ,,თიბისი ბანკი'', ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

6. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (1. განაცხადის №71271HZP67645720; ლოტის ნომერი: 676457; 2. განაცხადის №71271HZP67645820; ლოტის ნომერი: 676458).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 2 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

◎ დღესასწაული

„ჭიამოტივის“ საფიდებელი

თურმე, არც ისე საპანაშვიდედ ყოფილა ქართული საკლუბო ფეხბურთის საქმე, როგორც ბოლო წლებში მიგვაჩვიეს.

ეს უპირველესად თბილისის „ლოკომოტივზე“ ითქმის, რომელმაც ევროპალიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მიხეილ მესხის სტადიონის სათადარიგო მოედანზე დამოუკიდებლობის პერიოდში სულ მეხუთე, მაგრამ მნიშვნელობით – ისტორიული გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის 11-გზის(!) ჩემპიონთან და თასების მფლობელთა თასის 1972 წლის გათამაშების ფინალისტთან მოსკოვის „დინამოსთან“ – 2:1, რომელიც თავის დროზე თვით თბილისის „დინამოს“ უშრობდა სისხლს.

სიმბოლურია, რომ სტუმართა გუნდის თავკაცი ის კირილ ნოვიკოვია, ვისი მამაც – ამჟამად „თეთრ-ლურჯთა“ სამწვრთნელო შტაბის წევრი ალექსანდრე ნოვიკოვი არნახული უხეშობით გამოირჩეოდა და განსაკუთრებით ვლადიმერ გუცაევს ამტვრევდა კოჭებს, ხოლო რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერის ზოგიერთი მოთამაშის საკონტრაქტო პირობებით გათვალისწინებული ანაზღაურება მასპინძელთა მთლიან ბიუჯეტს აღემატება.

ასე რომ, როგორც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, ფეხბურთში ფული ყველაფერს არ წყვეტს და ხანდახან მთების გადადგმა მწვრთნელის (ამ შემთხვევაში გია ჭიაბრიშვილისა) და მის შეგირდთა ჰარმონიული თანამშრომლობითაც არის შესაძლებელი.

დავძენთ, რომ რკინიგზელთაგან გოლები სიხარულიძემ და გავაშელიშვილმა გაიტანეს, თუმცა, შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარეს აგრეთვე კირკიტაძემ, დარცმელიამ, სანდოხაძემ, უგულავამ და მეკარე მამარდაშვილმა, ხოლო მომდევნო ეტაპზე მათ სტუმრად კიდევ უფრო მრისხანე მეტოქე ელოდებათ ესპანური „გრანადას“ სახით. თამაში 24 სექტემბერს გაიმართება.

„ქონაჰი – „დინამო“ 0:1

მასპინძლები შარშან პირველად გახდნენ უელსის ჩემპიონები, მაგრამ ამ მატჩში ოთხი წამყვანი ფეხბურთელი კორონავირუსის გამო აკლდათ. ხოლო ორი – ტრავმის. გადამწყვეტი ბურთი გაბედავამ 97-ე წუთზე პენალტით გაიტანა – 1:0 და შემდეგ ეტაპზე ფარერებზე „კლაკსვიკს“ გამოვცდით.

თანამემამულეებს ღირსეული წარმატება მიულოცეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ (ჰერშტეგით „საქართველო იმარჯვებს“) და დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში ეს იყო ქართული და რუსული კლუბების მეორე ბრძოლა ევროტურნირებზე და ჩვენმა გუნდმა მეორედ მოუგო პრინციპულ მეტოქეს (1996 წელს უეფას თასზე თბილისის „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედოს“ სძლია – 1:0, 1:1 და მაშინ ორივე გოლი გოჩა ჯამარაულმა გაიტანა).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ლეგიონერი

ეს ერთი და სხვა მრავალი!

მოსკოვის ცსკას ვარსკვლავურ ანსამბლში ღირსეულად დამკვიდრებულმა თორნიკე შენგელიამ ახალ კლუბში პირველი ტიტული მოიპოვა. სასტარტო ხუთეულის შეუცვლელი წევრი ნევის თასს დაეუფლა და დამდეგი სეზონის წინ კარგი ფსიქოლოგიური დოპინგი მიიღო.

პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალში ფავორიტმა არმიელებმა მძიმე ბრძოლაში გატეხეს მასპინძლის – სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ შეუპოვარი წინააღმდეგობა – 80:78, რაშიც „ჯვაროსანთა“ კაპიტანმა სოლიდური წვლილი შეიტანა – 13 ქულა, ხოლო გადამწყვეტი შეხვედრა სარატოვის „ავტოდორთან“ ფორმალობად აქციეს – 93:67.

პარტნიორთა აშკარა უპირატესობის ფონზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერმა პარკეტზე შედარებით ნაკლები დრო გაატარა, თუმცა, თავი არც ამჯერად შეურცხვენია – 6 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ევროლიგის სასტარტო მატჩს მისი მოქმედი ჩემპიონები მოსკოველები „ბარსელონასთან“ გამართავენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სპორტი და კრიმინალი

ეს უკვე მეტისმეტია!

სრული საფუძველი გაგვაჩნია, ქართულ სპორტში შემოდგომის სტარტზე განვითარებულ მოვლენებს კრიმინალური ქრონიკა ვუწოდოთ, რადგან ჯერ, უკვე მერამდენედ, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტს სოსო ჯაჭვლიანს აუმხედრდნენ ეროვნული და პარაეროვნული ნაკრებების თავკაცები, ხოლო ამ კვირაში ტყვიაც გავარდა და რაგბის კავშირის ნასვამმა ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ბესელიამ, რომელიც უკვე დაკავებულია და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, შვიდკაცა გუნდის ყოფილი კაპიტანი რამაზ ხარაზიშვილი დაჭრა. სავარაუდოდ, ორივე ფაქტი ფულს უკავშირდება.

ბუნებრივია, როცა კორონავირუსის პანდემიით თითქმის მთლიანად ჩაშლილ სეზონზე ვსაუბრობთ, არც მისი შავი ლაქა – 19 წლის ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის დაღუპვა გვავიწყდება, რომელმაც 23 წლის პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის დანაკარგთან ერთად ლამის ყველა ტრაგიკული შემთხვევა გადაფარა და დღემდე რჩება რეზონანსულ თემად, მაგრამ „ბორჯღალოსნებთან“ თუნდაც ირიბად მიბმული სკანდალი და დაღვრილი სისხლი, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ გულისტკივილს იმსახურებს, ამიტომ მასზე წაყრუება, სავსებით შესაძლებელია, სამომავლო თავსატეხის წინაპირობა გახდეს.

მერე რომ არ ვინანოთ, ამჯერად მაინც უნდა ვთქვათ, რომ ქართული რაგბის სამყაროს გახლეჩვაზე მაშინ უნდა აგვეტეხა განგაში, როცა პოსტიდან გოჩა სვანიძე გადადგა. დავიჯეროთ, ვერავინ ხვდებოდა, რომ იქ, სადაც დიდი თანხები ტრიალებდა, სათავგადასავლო ჟანრის სიუჟეტიც მოსალოდნელი იყო? მით უმეტეს, იმ დღეებშიც ისმოდა, რომ რაგბის კავშირში ერთმანეთს „მაყუთის“ გამო დაერივნენო.

ყოველივე ეს კიდევ უფრო სამარცხვინოა მაშინ, როცა მსოფლიო რაგბის მამებმა, როგორც იქნა, მოწყალე თვალით გადმოგვხედეს და ელიტურ ტურნირში – შემოდგომის ერთა თასზე სათამაშოდ მიგვიწვიეს, სადაც თვით ინგლისთან, უელსთან და ირლანდიასთან გავმართავთ ღირსების მატჩებს.

დაგვეთანხმებით, ძველი ქართული სიბრძნე – სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობია – სწორედ რაგბის სამშობლოში გამგზავრებამდე ორ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში იძენს მოჭარბებულ აქტუალობას.

ჰოდა, ისღა დაგვრჩენია, აწი მაინც დავალაგოთ ვითარება, ავირჩიოთ ყველასათვის მისაღები რაგბის კავშირის ახალი პრეზიდენტი და შელახული ავტორიტეტის აღსადგენად ვიზრუნოთ.

ძნელი იქნება? – რასაკვირველია, მაგრამ ამას ქართული სპორტის ინტერესები მოითხოვს!

გია პლატონიშვილი

მართლაც, რატომ?..

სახელოვანი ქართველი მოკრივე, მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი კანდელაკი არაერთხელ ფიგურირებდა სხვადასხვა ხასიათის გაუგებრობებში, მათ შორის პოლიტიკასთან დაკავშირებულ ისტორიებში, მაგრამ რაც მის ვაჟს, ასევე ხელთათმნის ოსტატ თარაშ კანდელაკს შეემთხვა, მტერსაც არ უსურვებს კაცი.

გამოძიების ცნობით, 9 ივნისს გორში, სტალინის ქუჩაზე მდებარე მამის კუთვნილ რესტორან „ჯოზეფის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი დაახლოებით 20-კაციანი ჩხუბის დროს ნასვამმა თარაშ კანდელაკმა მძიმედ დააშავა 18 წლის სტუდენტი ერეკლე თედლიაშვილი, რომელიც 12 სექტემბერს კლინიკა „ჯერარსში“, მიუხედავად გადატანილი რამდენიმე ოპერაციისა, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა და ჩხუბის მონაწილეებს აშვებდა, მოსამართლემ კანდელაკი პატიმრობაში დატოვა.

თამარ თედლიაშვილი, ერეკლე თედლიაშვილის ადვოკატი: ჩემი ბიძაშვილი და ბრალდებული ერთმანეთს არ იცნობდნენ. ერეკლეს პირველი ოპერაცია გორშივე ჩაუტარეს და შემდეგ მოათავსეს „ჯერარსში“.

ვადასტურებ, რომ იგი სარეაბილიტაციოდ სხვა კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ მდგომარეობა დაუმძიმდა და „ჯერარსში“ დააბრუნეს. რაც შეეხება კანდელაკების ოჯახიდან მხარდაჭერას, ტყუილს ვერ ვიტყვი – კი, ყურადღებას იჩენდნენ. აქვე მსურს გაგაცნოთ გარდაცვლილის მშობლების პოზიცია. კერძოდ, ოჯახს ამ დროისთვის სამართლიანი პრეტენზია და შეკითხვები აქვს ერეკლეს მკურნალ ექიმთან და კლინიკა „ჯერარსთან“. მათ კომპეტენციას ყველაზე საეჭვოს ის ფაქტი ხდის, თუ როგორ დაუშვეს მომაკვდავი ბავშვის გაწერა რეანიმაციიდან სარეაბილიტაციო ცენტრში.

ლანა ცერცვაძე, თარაშ კანდელაკის ადვოკატი: მიზეზობრივი კავშირი პირველად ტრავმასა და გარდაცვალებას შორის არ არსებობს. კლინიკიდან პაციენტი სხვა კლინიკაში სარეაბილიტაციოდ გაწერეს და სწორედ იქ გართულდა მისი მდგომარეობა – სიკვდილი ასფიქსიასა და შემდგომში განვითარებულ ჰიპოქსიას უკავშირდება, რასაც ადასტურებს როგორც სამედიცინო ისტორია, ისე მოწმეთა, ანუ სამედიცინო პუნქტიდან მიღებული ჩვენებები.

გიდასტურებთ, რომ დედაქალაქში გადაყვანის შემდეგ დადებითი დინამიკა დაიწყო და, მართალია, პაციენტს ვერბალური კომუნიკაცია არ შეეძლო, მაგრამ ჟესტიკულაცია შეეძლო და მისი სასიცოცხლო ფუნქციები ნორმას შეესაბამებოდა.

დავძენ, რომ ლეტალურ შედეგში ექიმების დადანაშაულება არასერიოზული განაცხადი იქნება.

დავით ყაზაიშვილი, კლინიკა „ჯერარსის“ სამედიცინო დირექტორი და რეანიმაციის უფროსი: პაციენტი სარეაბილიტაციო ცენტრში ჩვენების მიხედვით გადაიყვანეს. რაც განვითარდა და როგორც განვითარდა, ამის წინასწარ პროგნოზირება, ქალა-ტვინის დაზიანებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. ყველა ჩვენება ადასტურებდა, რომ პაციენტი დროულად იყო მოხსნილი აპარატიდან და აღარ საჭიროებდა რეანიმაციას, აქტიურ ჩარევებსა და ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას.

კობა კობახიძე

წერილი საკნიდან

ამ დღეებში ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით დაკავებულმა მორაგბე არჩილ გაგნიძემ დუმილი დაარღვია და სააგენტო „ინტერპრესნიუსისთვის“ გაგზავნილ წერილში საზოგადოებას ჰპირდება, რომ ამ საქმეში საკუთარ უდანაშაულობას აუცილებლად დაამტკიცებს.

ის აცხადებს, რომ ხიდის ქვეშ არ იმყოფებოდა და გიორგი შაქარაშვილისთვის გზა არ მოუჭრია:

„მინდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი, რასაც ვხედავ ამ საქმის ირგვლივ, არის სიყალბე და სიცრუე. ვხედავ, როგორ ცდილობს ბრალდების მხარე ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ჩვენი გამამართლებელი მტკიცებულებების განადგურებით და ყალბი მტკიცებულებების შექმნის მცდელობით, ჩამოაყალიბოს ხალხის აზრი, რომ თითქოს ჩვენ ვართ დამნაშავეები ცხონებული გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალებაში.

კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ მე არასოდეს მიცდია, გამოძიებისთვის რაიმე ინფორმაცია დამემალა.პირიქით, მე მას სრულად მივაწოდე ყველა ინფორმაცია და, ასევე, წარვუდგინე გაურეცხავი ტანსაცმელი, რომელიც მეცვა იმ დღეს. გადავეცი აგრეთვე ჩემი ტელეფონი, საიდანაც წაშალეს ჩემი გადაადგილების ტრაექტორია, რაც ადასტურებდა იმას, რომ მე გადავედი ხიდზე მარჯვნივ და ეს არ აწყობდა გამოძიებას, ვინაიდან ამით დამტკიცდებოდა, რომ მე არავისთვის მომიჭრია გზა და არც ხიდის ქვეშ ჩავსულვარ.

ყველაფერი ეს ემსახურება იმას, რომ ხალხში გააჩინონ განცდა, თითქოს მათ გამოიძიეს საქმე და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები.

ყოველივე ამას არანაირი შეხება არა აქვს მართლმსაჯულებასთან. მე კაცი ვარ და გავუძლებ ამ ცხრათავიან უკანონობას. აქვე გპირდებით, რომ აუცილებლად დავამტკიცებ ჩემს უდანაშაულობას“.

გეჟან დოლიძე

საქართველოს რესპუბლიკა

ცხონებულ!..

გამორჩეული ადამიანი

ელიზბარ ერისთავის ხსოვნას

ენერგეტიკულმა საზოგადოებამ და მთლიანად საქართველომ უდიდესი დანაკარგი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო ენერგეტიკოსი, გამორჩეული ადამიანი და დიდი პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ბატონი ელიზბარ ერისთავი. იგი იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომელმაც შექმნა საქართველოს ენერგოსისტემა და საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ განვითარებას.

ძნელია, მოკლედ აღწერო ბატონი ელიზბარ ერისთავის ღვაწლი ქვეყნისა და ენერგეტიკის დარგის წინაშე, არადა, მისი 60-წლიანი მოღვაწეობა მხოლოდ ორ ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1960 წლიდან 1997 წლამდე, იგი მუშაობდა ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტში“ აქედან ბოლო 18 წელი იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი. ამ პერიოდში, მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დაპროექტდა მთელი რიგი სისტემათაშორისი და სასიტემო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები, ენერგოსისტემა აღიჭურვა მართვის ავტომატიზირებული სისტემებით, დამუშავდა „საქართველოს ენერგეტიკული პროგრამა“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მონაწილეობდა „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფციის“ დამუშავებაში, რომელსაც სპეციალური პრემია მიენიჭა. 1969-1972 წლებში იგი მიწვეული იყო ეგვიპტეში, ასუანის ელექტროსადგურიდან ელექტროენერგიის გადამცემი მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელის დასაპროექტებლად.

1997 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბატონ ელიზბარ ერისთავის მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან. იგი იყო ამ კომისიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა და დაინერგა ენერგეტიკის სექტორის ინსტიტუციონალური მოწყობის და მართვის ახალი, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდები და წესები. შეიქმნა ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის წარმოების, გადაცემის და განაწილების, საქართველოსთვის სრულიად ახალი ფასწარმოქმნის პოლიტიკა და მეთოდოლოგია. ამავე პერიოდში შეიქმნა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი. 2004 წლიდან გარდაცვალებამდე იყო კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი.

მისი მაღალი პროფესიონალიზმი აღიარებული იყო არა მარტო საქართველოში. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სპეციალისტებთან. იყო აღმოსავლეთ ევროპის და აზიის მარეგულირებელი ორგანოების ასოციაციების ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი. თანაავტორებთან ერთად 2002 წელს გამოსცა ორტომეული, „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები“, რომელსაც 2005 წელს მიენიჭა საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია და დღემდე მიჩნეულია დარგის ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ერუდიცია და გამორჩეული ადამიანური და ზნეობრივი თვისებები, რომელიც მომდინარეობდა მისი სახელოვანი წინაპრებიდან — კოტე მაყაშვილიდან, ეკატერინე გაბაშვილიდან, მარო მაყაშვილიდან... მამა ლევან ერისთავი, ასევე ენერგეტიკოსი, რომელიც მუშაობდა რიონჰესის, აჭარისწყალჰესის და ხრამჰესის მშენებლობაზე, 29 წლის ასაკში გახდა 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი.

ბატონი ელიზბარ ერისთავი იყო საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკის აკადემიების ნამდვილი წევრი, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ძალზე ძნელია ბატონ ელიზბარ ერისთავზე წარსულ დროში საუბარი. ბევრ ჩვენგანს ჰქონდა ბედნიერება და პატივი ემუშავა მასთან, ბევრი ჩვენგანი თავს მის მოსწავლედ ვთვლით. ხშირად მოგვენატრება მისი დიდბუნოვანი ხასიათი, სიდინჯე, უმაღლეს რანგში აყვანილი პროფესიონალიზმი, უსაზღვრო ერუდიცია და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი.

უკეთილშობილეს პიროვნებას, საუკეთესო მეგობარს, დიდ პროფესიონალსა და მოღვაწეს არასდროს დაივიწყებენ მისი მეგობრები, კოლეგები და მოწაფეები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია.

შპს „ენგურჰესის“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ კოლექტივები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ენერგეტიკოსი, ენერგეტიკის აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი

ელიზბარ ერისთავი

და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს.

ბატონი ელიზბარი იყო სამაგალითო პიროვნება და კარგი მეგობარი. მის სახელს უკავშირდება ენერგეტიკის დარგში არა ერთი მიღწევა და წარმატება.

ბატონ ელიზბარს მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული ინჟინრის წოდება, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

სანთელი

ქართული ენერგეტიკის პატრიარქი

ელიზბარ ერისთავის ხსოვნას

ქართულმა ენერგეტიკამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ენერგეტიკოსთა ოჯახის ბრწყინვალე წარმომადგენელი, შესანიშნავი პიროვნება ელიზბარ ერისთავი.

ელიზბარ ერისთავი დაიბადა 1937 წელს ქართველ ენერგეტიკოსთა პირველი პლეადის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ლევან ერისთავის ოჯახში, რომელიც 1937 წელს იყო რესპრესირებული, 1955 წელს კი — რეაბილიტირებული.

1960წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტში“.განვლო საქმიანობის ყველა საფეხური — რიგითი ინჟინრიდან ინსტიტუტის დირექტორამდე. 1997წ. საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით ინიშნება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პირველ თავმჯდომარედ. იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის, აგრეთვე ევრაზიის ქვეყნების ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების რეგიონალური ასოციაციისა. საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ის, კანადის, უნგრეთის, რუსეთის, ბალტიისპირეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების მარეგულირებელ ორგანოებთან. მის ნაშრომს „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები“ 2005წ. მიენიჭა საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია. იყო საქართველოს ენერგეტიკის აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალ „ენერგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე. მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის“ და „საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკის“ წოდებები. დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“.

საქართველოს ენერგეტიკის
ვეტერანთა კავშირი

ხსოვნა

გოგი რამაზაშვილი

„დიდი გოგი“ — ასე ვეძახდით მას სიყვარულით, არა მარტო მისი ფიზიკური აღნაგობისა და ასაკის გამო, არამედ მისი პროფესიონალიზმიდან, საქმის ერთგულებიდან გამომდინარე. უნიჭიერესმა რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სპორტის სასახლისა და მეტროს მშენებლობის საქმეში, ხოლო მის მიერ შექმნილი სახამებლისა და დიაბეტური პურის წარმოების დანადგარები სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

გოგი რამაზაშვილმა მუშაობა დაიწყო ჯერ №3 პურის ქარხანაში (ფიქრის გორაზე), ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ კი თბილისის №4 პურის ქარხანაში გააგრძელა მუშაობა. საქმისადმი ერთგული სიცოცხლის ბოლომდე, 85 წლის ასაკშიც კი ჩვეული ენერგიითა და მონდომებით შრომობდა და საოცარ მაგალითს აძლევდა უმცროს კოლეგებს. მის მიერ შექმნილი პურის წარმოების სანათურებითაა აღჭურვილი პურის ქარხნები მთელ საქართველოში.

იყო შესანიშნავი ოჯახის თავკაცი, უღალატო მეგობარი, თბილი და თავმდაბალი ადამიანი. სწორედ ასეთი ადამიანების მხრებზე იდგა საქართველო, რომლებიც ამ ქვეყნიდან მართლაც ვალმოხდილნი მიდიან.

ღმერთმა აცხონოს მისი სული.

იური ოსიპოვი, ომარ კაჭარავა,
მალხაზ დოლიძე, თამაზ ნავროზაშვილი.
სს. თბილისის №4 პურის ქარხნის კოლექტივი.
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ აკადემიის იურიდიული სამსახურის უფროსს ნინო კაკუბავასა და მის ოჯახს ქალბატონ

როზა ქარდავას

გარდაცვალების გამო.

„აფხაზეთი ფერებში“

ახალგაზრდა მხატვრის, უნიჭიერესი თეკლა მელაძის ფერწერული ნამუშევარი „მგზავრის მოლოდინში“ გახდა გამარჯვებული კონკურსისა, რომელიც გაიმართა დევიზით „აფხაზეთი ფერებში“. კონკურსი განახორციელა იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა.

ამ გამარჯვებით თეკლამ არაჩვეულებრივი საჩუქარი გაუკეთა თავის გულშემატკივრებს სამშობლოდან ინგლისში სასწავლებლად გამგზავრების წინ. თეკლა მელაძე ჩაირიცხა ESSEX-ის უნივერსიტეტში, სადაც ის ბიზნესის მართვას შეისწავლის.



საქართველოს ეროვნული და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიები

ეროვნული **პრემიის კომისიამ** **და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიების პირველი სხდომა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართა.**

დამტკიცდა საქართველოს ეროვნული პრემიისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიის 9-კაციანი შემადგენლობები.

ეროვნული პრემიის კომისიას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი უხელმძღვანელებს, ხოლო ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიას მწერალი როსტომ ჩხეიძე.

საქართველოს ეროვნული პრემია ენიჭება პირს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, სიცოცხლის შემსწავლელი, ან საინჟინრო მეცნიერების დარგში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომისა ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართული მეცნიერების, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ ან ეკონომიკურ განვითარებაში. პრემია გაიცემა ყოველწლიურად, ენიჭება ორ პირს, თითოეულს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ასევე გაიმართა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიის სხდომა. პრემია ენიჭება პირს ლიტერატურის დარგში (პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა) უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელიც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნულ აღიარებას მოიპოვებს და განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით.

ვაჟა-ფშაველას პრემია გაიცემა 2 წელიწადში ერთხელ, ენიჭება ერთ პირს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

პრემია, როგორც წესი, ენიჭება საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემია შეიძლება მიენიჭოს უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 22 სექტემბერს

◎ ხალხური

ჩონგურზე დასამღერი

ელისო, ელისო,
გვარამია გელისო,
აბა, ჩქარა, აბა ჩქარა,
ნაშიერნო გველისო,
რა ეშმაკმა გაგაჩინათ
ერთი ზნის და ფერისო!..
ორივენი დამპლები ხართ,
სუნი აგდით ძღნერისო,
მიშიკუნას რომ უძვრებით,
ვერა ნახავთ ხეირსო,
სულ ტყუილად ელოდებით
გამარჯვების ზეიმსო...

ჩაიწერა
შალვა ნათელაშვილმა
დუშეთი.

◎ ხუმარსიტყვა

კვლევის იაფი ხერხი

რადგან სამედიცინო მომსახურება ძვირია, გთავაზობთ გამოკვლევის იაფ ხერხს:

მოფსით ხის ძირში და თუ ჭიანჭველა დაეხვია — შაქარი გაქვთ მომატებული;

თუ ბუზი დაეხვია — ანთება;

თუ ხორცის სუნი აქვს — ქოლესტერინია აწეული;

თუ შარდვისას ტრუსის ჩაწევა დაგავიწყდათ — სკლეროზია;

და თუ ყნოსვა დაკარგეთ და შარდის სუნს ვერ იგებთ — კორონავირუსია.

ექიმი თენგიზა ჟაჟია

ამერიკის სკოლებში „პატრიოტული სწავლება“ შემოიღეს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც სკოლებში „პატრიოტული სწავლების“ შემოღებას ითვალისწინებს. ამ განკარგულების თანახმად, ჩამოყალიბდება სპეციალური კომისია, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში მკაცრად გააკრიტიკა საპროტესტო აქციების მონაწილეები, რომლებიც ტრამპის თქმით, „ყურადღებას მხოლოდ მონობაზე, რასიზმზე და ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის შევიწროებაზე ამახვილებენ“. მისი თქმით, „სკოლებში ბავშვებს ქვეყნის შესახებ შესანიშნავი სიმართლე უნდა ასწავლონ“.



„ჩვენ ვატარებთ მარტინ ლუთერ კინგის ხედვას, რომელშიც ბავშვებს კანის ფერის მიხედვით არ განსჯიან, არამედ მათი ხასიათის მიხედვით. მემარცხენეები ცდილობენ, დაყონ ამერიკელები რასის მიხედვით და ამას პოლიტიკური მიზნებისთვის შვრებიან. ყველა პრობლემის რასიზმი კუთხით განხილვით, ისინი ცდილობენ, თავს მოგვახვიონ ახალი სეგრეგაცია, ჩვენ ამას არ დავუშვებთ“, — განაცხადა ტრამპმა.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1886; ევრო - 3.7603;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1343;
100 რუბლი - 4.2518; თურქული ლირა - 0.4226;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8770;
1000 სომხური დრამი - 6.5659.

ამინდი 19 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +26
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +24
თბილისი: ღამე +18, დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge